წელიწადი მეორე ფასი 7 კაპ. ხუთშაბათი, 27 ღვინობისთვე 1916 წ. № 239

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ-გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., [illegible] ლებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 5 მ.; 20×2 ღირს 7 მ., 25×2 ღირს 8 მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ეღირ. მეტი.

დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

[illegible] ღირს: ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით 4 თვით—4 მ. 80 კ. 3 თვით—3 მ. 60 კ. 1 თვით—1 მ. 20 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.

პროვინციებით: წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 თიბათვიდან—9 მან.

სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 5 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 6—მან.

გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე.

ფოსტის მისამართი: Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева Почтовый ящикъ № 76.

რედაქტორ-გამომცემელი სანდრო შანშიაშვილი.

ქ. სოხუმში კვირას, 30 ღვინობისთვეს, გარდახდილ იქნება საკრებულო ტაძარში ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი

ლადო დარჩიაშვილის

სულის მოსახსენებლად. რასაც აუწყებენ საზოგადოებას ქვრივი ელენე ლუარსაბის ასული დარჩიაშვილისა და ირინე, იასონი და ნიკო გეგელაშვილები.

ნიკოლოზ ესტატეს ძე წვერავა მეუღლით და შვილებით ულრმეს მადლობასა სწირავენ ყველას, ვინც კეთილ ინება და პატივი სცა მათის დედის და ბებიის

მარიამ ივანეს ასულის
წვერავას

ხსოვნას, როგორც პირადად თანაგრძნობის გამოცხადებით, აგრეთვე წერილებით თუ ტელეგრამებით.

(1—376—1)

ქუთაისის ქალაქის თეატრი

ხუთშაბათს, 27, და პარასკევს, 28 ოქტომბერს

გაიმართება პირველად ქუთაისში ცნობილი ქართული

სიტყვა-მუსიკობა
(ლექცია-კონცერტი)
კ. ფოცხვერაშვილისა

ბილეთები იყიდება მთავრიშვილის და ოცხელის წიგნის მაღაზიებში.

დასაწყისი საღ. 8 საათზე. ◆ ◆ ◆ ცალკე აფიშა არ გამოვა

ესევე ლექცია-კონცერტი გაიმართება დ. ყვირილაში შაბათს, 29 ოქტომბერს.

(2—222—1)

საადგილ-მამულო კომისია

აცხადებს, რომ მისთვის საჭიროა გამოცდილი

ინჟინერ-მელიორატორი

წლიურ ჯამაგირად მიეცემა 3,600 მან. ამას გარდა 5%. შესრულებულ საქმეთა ხარჯთ-აღრიცხვიდან და ცალკე საგზაო და დღიური გასამრჯელო.

მისამართი: Тифлисъ. Двор. Депут. Собраніе—Земельная комиссія.

(7—211—4)

პირველ ხარისხოვანი რესტორანი

კაფე პარიზი

ახლად მოწყობილი მსგავსად სატახტო ქალაქთა რესტორანებისა.

(სასახლის ქუჩაზე „ახალ კლუბის“ ქვეშ)

სიცხისაგან თავის შეფარება მხოლოდ „კაფე პარიზში“ შეიძლება.

ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომია

ყოველ დღე მზადდება

საუზმე — ჩაი
სადილები — ყავა
ვახშმები — ხაჭაპური
პიროჟკები

ადგილობრივი და უცხოური სასმელები, კარაქზე, გამოცდილ მზარეულის ხელმძღვანელობით.

პატივისცემით სიდ. ს. გიგიბერია.

ღვინის საწყობი

ნიკო გ. სესიაშვილისა

◆ იყიდება ხელსაყრელ ფასებში საუცხოვო ნამდვილი ◆

კახური ღვინო

განთვის ქუჩა № 4.

—— სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა. ——

(185—წ.)

თბილისის განყოფილება

ვოლგა-კამის საკომერციო ბანკისა.

ვოლგა-კამის საკომერციო ბანკის თბილისის განყოფილებას პატივი აქვს საზოგადოებას აუწყოს, რომ ამა წლის 1 გიორგობისთვიდან ბანკის განყოფილებაში გაიმართება ხელის მოწერა სახელმწიფო

სამხედრო მოკლე ვადიან 5 ნახ. პროც. 1916 წლის მეორე გამოცემის სესხზე.

სესხის ობლიგაციები გამოვა 50, 100, 500, 1,000, 5,000, 10,000 და 25,000 მან. ღირებულებისა ნახევარწლიან კუპონებითა პირველ აპრილისა და პირველ ღვინობისთვის ვადებისათვის; ხელის მოწერის ფასად დანიშნულია 95% მიმდინარე %% მიმატებით ამა წლის პირველ ღვინობისთვიდან გამოსყიდვის დღემდე.

ხელის მომწერთ შეუძლიათ გამოისყიდონ ობლიგაციები 500-მდე სავსებით, ხოლო 500 მანეთს ზევით, თუ სურთ, შეუძლიათ ითხოვონ და ნაწილ-ნაწილათ გამოისყიდონ, სახელდობ: 5% ხელისმოწერის დროს და 50% არა უგვიანეს 1917 წლის 31 იანვრისა.

მთლიანათ გამოსყიდულ სესხის ქაღალდს განყოფილება დაიგირავებს 85% ნომინალურ ღირებულებისას 85%-ად, თან აღებულ იქნება საშეღავათო %%.

(3—223—1)

სასადილო
„ეკონომია“
პუშკინის ძეგლის პირდაპირ.

„ფრანციის“ ნომრების ქვეშ, შტაბის ქუჩა.

მოწყობილია ევროპიულ პირველ ხარისხოვან რესტორანების მსგავსად. საჭმელები ევროპიულიც არის და ადგილობრივიც. ყოველ დღეა: ხარშო, ლომი, საცივი, ხაჭაპური, „პიროჟკი“ და სხვა საუზმე. სადილი და ვახშამი. მიუხედავად სანოვაგის სიძვირისა, „ეკონომიაში“ სადილები ძალიან იაფია. გამოცდილი მზარეული სადილს კარაქით ამზადებს.

სასადილოში არის ნარდი და ბილიარდი

პატივისცემით „კაფე-პარიზის“ [illegible] მწარმოებელი

(თ. 253—29) დიმიტრი უჩ. გიგიბერია და ნ. ზ. ქურთაური

ქ. ბაქოში

ღვინით ვაჭრობა
„მელაანი“

თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.

იშოვება საუცხოვო კახური ღვინოები

(112—წ.)

სავაჭრო სახლი
„ძმ. სესიევები და ამხ.“

(ვაგზლის ქ. № 6)

ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ პირველ ივნისიდან ამა 1916 წ. თავის საწყობში წვრილად გაიყიდება

ნამდვილი კახური საკუთარი ვენახების ღვინო

ექიმი

ფონ-ირტელი

(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).

მოსკოვის სახაზინო საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი (Бѣль), საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის 9½-დან 1 საათამდე და ნაშუადღევს 5—9 საათამდე.

ერლიხის „914“ და „606“

შეშხაპუნება

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი აფთიაქი

◆ პროვიზორის ახვლედიანისა ◆

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ოლღას ქ. № 3.

ექიმი

მ. ი. ვაჩნაძე

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

ექიმი-დოსტაქარი

გ. მ. მუხაძე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნის და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

პოლონეთი

პოლონეთი ერთს დროს დიდი და ძლიერი სახელმწიფო იყო. პრუსიის მთავრები, ახლანდელი გერმანელი იმპერატორის წინაპრები, პოლონელი მეფის ვასალები ანუ ხელქვეითები იყვნენ და ვარშავაში მოდიოდნენ გვირგვინის დასადგმელად. პოლონეთის ლაშქარი ხონთქარის ლაშქარს უთანასწორდებოდა რიცხვითა და სიმამაცით და პოლონელმა მეფემ იან სობესკიმ მეჩვიდმეტე საუკუნეში ქალაქ ვენას ოსმალების ალყა ახსნა და დასავლეთი ევროპა მაჰმადიანების შესევას გადაარჩინა. შეიძლება ითქვას, რომ პოლონეთს დიდი ღვაწლი მიუძღვის ევროპიული კულტურის წინაშე. გეოგრაფიული მდგომარეობის მიხედვით ის წარმოადგენდა ერთგვარ შუამავალს სრულ კულტუროსან დასავლეთსა და ნახევარ კულტუროსან აღმოსავლეთს შორის, ამასთან ერთად ერთგვარ ყორესაც ბარბაროსთა ტალღების წინააღმდეგ.

მაგრამ ასეთი გეოგრაფიული მდგომარეობა საბედისწერო აღმოჩნდა თვით პოლონელი ერისთვის. ქვეყანას არ ჰქონდა ბუნების მიერ შექმნილი ზღუდეები, მისი კარები თითქმის ოთხივე მხრით ღია იყო მსურველთათვის. შინაურ მართვა-გამგეობაში ბოლო დროს დიდი უთაურობა და არევ-დარევა სუფევდა. მას შემდეგ რაც იაგელონების სამეფო ძალა შესუსტდა და ბოლოს გვარეულობაც გადავიდა, პოლონეთში თავისებური რესპუბლიკა დაწესდა. მეფობა გარეგნულად არ მოსპობილა, მაგრამ მან დაჰკარგა მემკვიდრეობითი ხასიათი. მთელი პოლიტიკური ძალა თავად-აზნაურულ პარლამენტში გადავიდა, რომელიც მეფეს ირჩევდა, მაგრამ თითქმის არავითარ უფლებას არ აძლევდა. რადგან პოლონეთს ღონიერი ეროვნული ბურჟუაზია არ ჰყავდა, მეფემ მოკავშირე ვერ იპოვა, ეგოისტური, ალვირ ახსნილი შლიახტის წინააღმდეგ და ბოლო დროს მთელი ქვეყანა სრულმა ანარქიამ მოიცვა.

ამით ისარგებლეს მადაგახსნილმა, ძლიერმა მეზობლებმა. რუსეთი, პრუსია და ავსტრო-უნგრეთი ურთიერთშორის შეთანხმდნენ და პოლონეთი გაინაწილეს. პირველი გაყოფა 1772 წელს მოხდა, მეორე 1793 წელს. ამ უკანასკნელს აჯანყება მოჰყვა, ეროვნული გმირის კოსტიუშკოს მეთაურობით. მაგრამ კოსტიუშკო სასტიკად დამარცხდა მაციეჯოვიჩთან და როგორც, გადმოცემა ამბობს, ბრძოლის ველზე დავარდნილმა სარდალმა სასოწარკვეთილი სიტყვები წარმოსთქვა: აღსრულდა პოლონეთიო!

პირველად თითქო გამართლდა ეს წინასწარმეტყველება. 1795 წელს მოხდა პოლონეთის მესამე, უკანასკნელი, განაწილება და ეს სახელმწიფო წაიშალა ევროპის რუკაზე. მაგრამ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ნაპოლეონის ომებმა იმედი გაუღვიძეს და ფეხზე წამოაყენეს პოლონელები. ცნობილია, რომ დიდმა სარდალმა პრუსია სასტიკათ დაამარცხა იენასთან, ტილზიტის ზავის მიხედვით პოლონური პროვინცია ჩამოართვა და ცალკე საჰერცოგო შეადგინა. მადლიერმა პოლონელებმა სამაგიეროდ მთელი რაზმები შეჰმატეს საფრანგეთის დიდს არმიას. ეს რაზმები შემდეგ უმეტეს ნაწილად შორეულ ესპანეთსა და სუსხიან რუსეთში გასწყდნენ საფრანგეთის საქმისათვის. მაგრამ ბოლოს საფრანგეთი ევროპიულმა კოალიციამ დაამარცხა და თავისუფალი პოლონეთის ბედიც გადაწყდა: ვარშავის საჰერცოგო რუსეთს შეუერთდა ვენის კონგრესის გადაწყვეტილების მიხედვით.

ორჯერ აუჯანყდნენ პოლონელები უცხოელების ბატონობას და ორივეჯერ სისხლით განიბანეს თავიანთი გულფიცხელობა. აჯანყების მეთაურები დაიღუპნენ უსწორო ბრძოლაში ან ციმბირში წავიდნენ საკუთრება განძარცულნი და პატივ-აყრილნი. ბოლოს ხალხი თითქო შეურიგდა მწარე ბედს. ამ სამიოდე წლის წინათ პოლონეთს თითქო არავითარი მოვლენა არ ანიშნებდა ეროვნული განთავისუფლების სიახლოვეს.

მაგრამ თავისუფლება მოვიდა და მოვიდა იმ მხრიდან, საიდანაც ყველაზე ნაკლებ იყო მოსალოდნელი. ამბობენ, რომ ვილჰელმ II ნაპოლეონს ჰბაძავს მიხვრა-მოხვრაშიო. ეს შესაძლებელია. ყოველ შემთხვევაში გერმანელი იმპერატორის უკანასკნელი ქცევა ძლიერ წააგავს ნაპოლეონისას. ნაპოლეონივით ის პოლონელ ერს პოლიტიკურ დამოუკიდებლობას ანიჭებს სხვების დაუკითხავად; ნაპოლეონივით ის პოლონელებისაგან დამხმარე რაზმებს ელის მსოფლიო ომის საწარმოებლად. ეს ლოდინი არ უნდა იყოს სავსებით უსაფუძვლო. რუსეთის პოლონეთში თორმეტ მილიონამდე სული სცხოვრობდა და თუმცა აქედან უკვე დიდძალი ჯარისკაცი გაიკრიფა, ერთ მილიონიანი ლაშქრის წამოყენება კიდევ უნდა შეეძლოს ამ კუთხეს. მაგრამ თუნდ ეს ციფრი ოდნავ გადაჭარბებულიც იყოს, ამ დიდი ისტორიული აქტის მატერიული და ზნეობრივი მნიშვნელობა პირდაპირ განუსაზღვრელია. რაც უნდა მოხდეს, ძველი მდგომარეობის დაბრუნება შეუძლებელი იქნება პოლონეთში. პოლიტიკური ურთიერთობა რადიკალურად იცვლება აღმოსავლეთ ევროპაში, იცვლება არა მარტო ახლანდელი მომენტისა, არამედ მომავლისათვისაც. საყურადღებოა რომ ცბიერმა გერმანელმა დიპლომატიამ ჯერჯერობით არ განსაზღვრა ახალი სახელმწიფოს ტერიტორია: ეს იმას ნიშნავს, რომ გერმანელები პოლონელებისაგან დღევანდელი ომის დროს თავგამოდებას ელიან მომავალი სახელმწიფოებრივი საზღვრების გასაფართოვებლად. ასეთი გაფართოება კი პოლონეთს მით უფრო ესაჭიროება, რომ ეს ქვეყანა მოკლებულია ზღვის ნაპირებს, უნავთსადგუროდ კი ძლიერ გაუჭირდება არსებობა. ორი მხრით შეუძლია მას ზღვის ბჯეზის მოპოვება: ჩრდილოეთით ბალტიის ზღვისა და სამხრეთით შავი ზღვისკენ. რადგან ძნელი მოსალოდნელია, რომ გერმანიამ პოლონეთის სახელმწიფოს ქალაქი დანციგი ან სხვა რომელიმე ჩრდილოეთი ნავთსადგური დაუთმოს, უნდა ვიფიქროთ, რომ ის თავის ამალს, ხელქვეითს, თავხედურად სხვის საკუთრებისკენ მიუთითებს, ე. ი. შავი ზღვის სანაპიროებისკენ.

პროექტით პოლონეთი კონსტიტუციური მონარქია უნდა იქმნას. ჯერ კიდევ გამორკვეული არ არის ვინ ავა კაზიმირ დიდის ტახტზე. შეიძლება პოლონელთა მეფე, რომელიმე ადგილობრივი ძველი არისტოკრატული გვარიდან აირჩიონ, შეიძლება ის, რომელიმე გერმანული დინასტიიდან მოიწვიონ. ცნობილია, რომ მრავალ-რიცხოვანი გერმანული სამეფო თუ სამთავრო გვარები ნამდვილ საწყობს წარმოადგენენ ტახტზე ასასვლელად განმზადებული კანდიდატებისას. ისტორიის მწარე ირონია მხოლოდ იმაშია, რომ ვილჰელმ ჰოჰენცოლერნი, რომლის წინაპრები პოლონელთა მეფეების ხელქვეითები იყვნენ, დღეს თავხედურად განაგებს პიასტთა და იაგელონთა გვირგვინს.

ვ. ლღლიანი.

ვის უნდა გადაეცეს ჭიათურის სალიკვიდაციო მამულები

(დასასრული. იხ. „საქართ.“ № 238.)

ეხლა ავიღოთ, რომ სალიკვიდაციო კომისიამ მიანიჭა მამულები რომელსამე სააქციონერო საზოგადოებას. ეს უკანასკნელი პირდაპირ დამოკიდებული იქნება იმ ბანკისაგან, რომელიც მას მისცემს საჭირო ფულს, ე. ი. ბანკის ბრძანებით იძულებული იქნება, როგორც ზემოთ დავინახეთ, **მამული ხელ-ახლავ გაყიდოს.** უკეთეს შემთხვევაში, თუ საზოგადოება შესძლებს ბანკის ყველა პირობები დააკმაყოფილოს და აძლიოს ყოველ წლიური % ერთ მილიონამდე და ამ გვარათ აწარმოოს ბანკისაგან დამოუკიდებელი პოლიტიკა; მაინც ბუნებრივათ აუცილებელია, რომ საზოგადოების აქციები (თუნდაც სახელობითი, **именныя**) ისევ იმ პირთა ხელში

გადავიდეს, რომელთა უპირველესი მიზანი სახელმწიფოსადმი მტრობაა. ესევე ითქმის კერძო ამხანაგობის შესახებაც.

დაგვრჩა საზოგადო ხასიათის დაწესებულებანი, რაც გულისხმობს ერობას, ქიათურის შ. ქვ. საბჭოს და თავად-აზნაურობას.

რადგან ერობა არა გვაქვს, სახეში უნდა მივიღოთ მხოლოთ ორი დაწესებულება, რომელთაგან მე პირადათ უპირატესობას საბჭოს ვაკუთნებდი, რადგან 1) უფრო დაახლოვებულია ქიათურასთან და არ დასჭირდება საქმესთან ახლათ გაცნობა, ახალი შტატისა და სხვ. ამგვარი საორგანიზაციო ზომების მიღება და მათთვის იმდენათ დიდი ხარჯის გაწევა, 2) მეტი შეძლება, მეტი შემოსავლიანი წყაროები აქვს საბჭოს, რომლის ორმილიონიანი შემოსავლის ნახევარიც კი **სავსებით უზრუნველჰყოფს და მტკიცე გარანტიას იძლევა** 10 მილიონის სესხისათვისაც კი, ე. ი. თითქმის ორჯერ მეტისათვის, ვიდრე პირველათ საჭირო იქნება (ეს იმ შემთხვევაში, თუ სესხისთვის 10 პროც. ვიანგარიშებთ, რაც ზომაზე დიდია.) და 3) საბჭოც ისე, როგორც თავად-აზნაურობა, დაექვემდებარება სახელმწიფოს პირდაპირ კონტროლს ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვის საქმეში, ე. ი. სავსებით საიმედოა მთავრობისათვის. ვისი ინტერესი მოითხოვს, რომ ქიათურის სალიკვიდაციო მამულები საბჭოს არ დარჩეს? ზემო ნათქვამიდან ცხადია, ვისაც არ უნდა დარჩეს მამულები გარეშე საბჭოისა (და თ-დ-აზნაურობისა), ყოველთვის რჩება უდიდესი შესაძლებლობა და აუცილობლობა მოწინააღმდეგე უცხოელთა ხელში მამულების გადასვლისა. მაშასადამე, ვინც საბჭოს წინააღმდეგია, ის ნებსით თუ უნებლიეთ ხელს უწყობს იმ ფარულ განზრახვებს, რომელიც უნდა ასულდგმულებდეს უწინარეს ყოვლისა დაზარალებულ გერმანულ ფირმებს, მაგ. გელზენ-კერხნერისას, რომელთაც უცილობელათ ეყოლებათ აქ დარჩენილი მალული აგენტი. ყოველგვარი „ზაიავლენიები“—გადაეცით მამულები ვისაც გსურთ, ოღონდ საბჭოს კი ნუ გადასცემთ, წინდაწინვე მიისწრაფვის ერთ მკაფიოთ და გარკვევით დასახულ მიზნისაკენ—იმდენი გავლენა იქონიონ მთავრობის წრეებზე რომ სალიკვიდაციო მამულები აცდინონ მთავრობის უშუამავლო კონტროლის ქვეშ მყოფ ისეთ ერთათ ერთ საიმედო დაწესებულებას, როგორიც არის საბჭო, რომლის დაპატრონებას მამულებზე მოითხოვს თვით მთავრობის მიერ არა ერთხელ საქვეყნოთ აღიარებული ინტერესი, მით უმეტეს ამ შემთხვევაში, რადგან ქიათურის განძი დაულეველი წყაროა ფოლადისა და მეტალურგიისა, თანამედროვე სახელმწიფოთა ამ მიუცილებელ ჯავშანისა.

როგორც უმეტეს შემთხვევაში, ისე ახლაც ადგილობრივი ინტერესი სავსებით ეთანხმება სახელმწიფოისას. მთელი ქართველობა გულის ფანცქალით ელის განჩინების საათს. ის ეკონომიური წარმატება, რომელიც განიცადა შორაპნის მაზრამ კერძოდ და ქუთაისის გუბერნიამ საზოგადოთ (და არა მარტო ქუთ. გუბ.), ის განძაფრება სასოფლო მეურნეობისა, ვენახებისა (შორაპნის მაზრა), დაფნისა და ბაღების გაშენებით, ის გამოცოცხლება ვაჭრობისა მთელს დასავლეთ საქართველოში, რომელსაც ჩვენ მიუცილებლად ვგრძნობთ ამ უკანასკნელ 25 წლის განმავლობაში—ყველაფერი ეს უპირველეს ყოვლისა ქიათურის წარმოების ზეგავლენით იყო. აქედან ადვილი გასაგებია, თუ რა დიდი საქმე უნდა გადაწყდეს ქართველობისათვის. ამასთან შედარებით, რა მცირეა ჩვენი მოთხოვნა: ჩვენ არ ვთხოულობთ მამულებზე ჩვენთვის განსაკუთრებით ფასების დაკლებას (რაც არც ისე უსამართლო იქნებოდა), ჩვენ არ ვთხოულობთ რაიმე ხელოვნური უპირატესობა მოგვანიჭონ მამულების მიკუთვნების დროს (რის უცილობელი უფლება ჩვენ უსათუოდ გვაქვს), ჩვენი ერთად ერთი სურვილი, ერთად ერთი მიზანი, ერთად ერთი და სრულებით კანონიერი მოთხოვნაა ნათელი შეგნება იმ ჰარმონიულ თანხმობისა, რომელიც არსებობს ერთის მხრივ მთელი სახელმწიფოსა და მეორეს მხრივ ჩვენი გუბერნიის მცხოვრებთა და მხოლოდ ჩვენი მცხოვრებთა ინტერესების შორის. უკანასკნელი სიტყვა მთავრობას ეკუთვნის. მომავალი გვიჩვენებს, თუ რამდენათ შესძლებენ ჯერ სალიკვიდაციო კომისიის წევრები და შემდეგ უმაღლესი მთავრობა თავი დააღწიონ იმ მაცდურ სოფისტურ ქსელს, რომლითაც მათ გარს ახვევს აშკარა სპეკულიაცია და ფარული განზრახვა თვით სახელმწიფო მტერთა. კიდევ ერთი დეტალი. როდის უნდა გადიხადოს საბჭომ კუთვნილი 6 მილიონი, თუ მამულები მას დარჩა, ეხლა თუ ომის შემდეგ? ეჭვს გარეშეა, ომის შემდეგ და აი რისთვის. ვსთქვათ, მთავრობამ ეხლავე გადაახდევინა მთელი ეს თანხა, რომელიც გადაეცემა შესანახათ ხაზინას ანდა სახელმწიფო ბანკს, რადგან სალიკვიდაციო მამულების პატრონებს გერმანელებს ომიანობისას ფული ვერ გადაეცემათ: ომის გათავების შემდეგ ყოფილი მეპატრონენი მოითხოვენ არა მარტო 6 მილიონს, არამედ %-საც იმ საზომით, თუ რა %-ს აძლევს ეხლა ხაზინა, ე. ი. ხაზინაში ფულის შენახვის. მთავრობას სარგებელი მოაქვს გერმანელ მეპატრონეთათვის, მით უფრ მეტი სარგებელი, რაც უფრო დიდ ხანს გასტანს ომი, წლიურათ სულ ცოტა 2% რომ ვიანგარიშოთ, 120,000 მან. აგრეთ რამ, მტრებისათვის სარგებლის მოტანა, ყოველ შემთხვევაში არ შედის მთავრობის გეგმაში. თუ მთავრობა ფულს აიღებს ხაზინისათვის და რამდენიმე წელს შემდეგ გადასცემს გერმანელებს **უპროცენტოთ**, გამოვა, რომ მთავრობამ ისარგებლა უკანონოთ სხვა სახელმწიფოს ქვეშევრდომთა საკუთრებით, რასაც მთავრობა არა მარტო სხვებისა, თვით თავის ქვეშევრდომთა წინაშე არ ჩაიდენს. კიდევ მეტი, ამით მთავრობა უნაყოფოთ ამოაცლიდა მის ქვეშევრდომთა ეკონომიკას საგრძნობ საშუალებას, რადგან ომის გათავებამდე ხსენებული თანხა შეიძლება რაიმე სხვა წარმოებაში რამოდენჯერმე დატრიალებულიყო (оборотъ) და ამით დიდათ ხელი შეეწყო თვით ადგილობრივის ეკონოამიურ ცხოვრების განვითარებისათვის. ყოველ შემთხვევაში, ექვსი მილიონის ეხლავე წაღება და ხაზინაში დალაგება ერთის მხრივ მოწინაღმდეგეთათვის განზრახ სასარგებლოა და მეორეს მხრივ, სახელმწიფოს ინტერესის თვალთა ხედვის ისრით, რომ შევხედოთ, უმიზნოთ მოკვლაა, მოსპობაა მოძრავ საწარმოო დიდი ძალისა. წინააღმდეგ, თუ მთავრობა ფულს საბჭოს ომის გათავებისა და ზავის საბოლოოთ ჩამოგდების შემდეგ მოსთხოვს, რაც უფრო სამართლიანი და ლოღიკური იქნება, მაშინ გერმანელებს ეკარგებათ ყოველი საბუთი %-ის მოთხოვნისა, რადგან საბჭოს მამული სწორეთ იმ პირობით ექნება ნაყიდი, რომ ფასი გადიხადოს ომის შემდეგ. გერმანელებს ის და დარჩებათ, რომ დაექვემდებარონ თავიანთ ხვედრსა. ხსენებული ექვსი მილიონიც დარჩება სახელმწიფოს ქვეშევრდომთა ეკონომიკას, რაც მეტადრე ამ ომიანობის დროს უდიდესათ სასარგებლოა ხალხისა და ქვეყნისათვის. და გერმანელთა უფლებებიც სრულიად კანონიერად შეზღუდული იქნება. შეიძლებოდა კიდევ ერთი საშუალება—მთელი თანხა, ექვსი მილიონი, ეხლავე გადაეგზავნათ გერმანელებისათვის. ეს ახალი ძალის შემატება იქნებოდა მტრებისათვის და მათთვის ფრიად სასურველი. ერთად ერთი საშუალება, მაშასადამე, მისთვის, რომ გერმანელების უფლება **ნაკლებ თანხაზე იქნეს, ეს თანხა, რაც შეიძლება, გვიან წაერთვას** საკუთარ ქვეშევრდომთა ეკონომიკას, ერთად ერთი საშუალება ღირებულების გადახდის მოგვარებისა ის არის, რომ ფული ომის გათავებისა და ზავის საბოლოოთ ჩამოგდების შემდეგ გადაგვახდევინონ.

ტიტე მარგველაშვილი.

ომის ამბები

ბრძოლის ველზე

გაზეთ „დენ“-ის თანამშრომელი ბ. დიმიტრიევი თავის მორიგ წერილში გულახდილად აღიარებს, რომ დღევანდლამდე არავინ იცის ავსტრიელები დანამდვილებით რომელ მიმართულებას გაიხდიან მთავარ საოპერაციო ასპარეზად. და რახან ჯერ-ჯერობით ეს დაფარულია, თავისთავად ცხადია, არც ის ვიცით, თუ რას უქადის მოპირდაპირე რუმინეთს. ე. ი. ავსტრიელები ფიქრობენ ბუქარესტის დაპყრობას და ამ გზით დობრუჯში მაკენზენთან შეერთებას, თუ მათი განზრახვა უფრო გრანდიოზიულია, უფრო მეტს განსაცდელს უქადის რუსეთის მოკავშირეს. ყოველი სამხედრო მიმომხილველი აღნიშნავს, რომ ფალკენჰაინის გეგმაში მარტო ბუქარესტის დაპყრობა და ამ ხაზით რუმინეთის გადაჭრა არ შედის. გერმანელი გენერალი უეჭველია ყოველ ღონეს იხმარს რუმინეთის ასპარეზი სამუდამოთ ამოშალოს რუქიდან და ბრძოლის ხაზი პირდაპირ რუსეთის საზღვრებს მიაბჯინოს. ასეთია სურვილი ფალკენჰაინისა მიმომხილველების აზრით, განახორციელებს თუ არა ამ გეგმას მომავალი გვაჩვენებს. დღევანდელ ჩვენ მორიგ წერილში სრულებით არ შედის ამ კითხვის გამოკვლევა და გათვალისწინება. ჯერ-ჯერობით, ჩვენ ვფიქრობთ გავარკვიოთ შემდეგი მთავარი საკითხი: თუ ფალკენჰაინი ბუქარესტით არ დაკმაყოფილდება და მოისურვებს მთელ დიდ ვალახიის მოლდავანისგან მოწყვეტას, დანამდვილებით რომელ გზით წავა, საოპერაციო მიმართულების ხაზს სად გაატარებს.

მომეტებული ნაწილი სამხედრო მიმომხილველებისა ჰფიქრობს, რომ ავსტრიელები უთუოდ მდ. ბუზეოს დაადგებიან, აქ მორეკენ უმთავრეს ძალებს, გაარღვევენ ბრძოლის ხაზს, დაეშვებიან ველზე და პირდაპირ გალიციისაკენ გაილაშქრებენ. თუ ეს მოახერხა მოპირდაპირემ, მაშინ მთელი რუმინეთი, გარდა მოლდავანიისა გადაწყვეტილი იქნება. რაც შეეხება პრედეალთან, ტირგულუაზე და ალიუტაზე გახურებულ ბრძოლას, მათის აზრით აქ მხოლოდ დემონსტრაციაა მოპირდაპირესი. სამხედრო მიმომხილველს ბ. დიმიტრიევს ავსტრიელების მთავარი საოპერაციო მიდამო უფრო ჩრდილოეთით გადააქვს. უკანასკნელის აზრით მოპირდაპირესათვის დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს ფოკშერის ველს, რომელიც იწყება იმ ადგილიდან, სადაც მდ. მილკოვი უერთდება მდ. სერეტს. ამ ველის დაპყრობით, ამბობს დიმიტრიევი, ჯერ ერთი ხელთ იგდებს მოლდავიიდან ვალახიისაკენ მომავალ ყველა გზებს და მაშასადამე საშუალებასაც მოუსპობს, როგორც რუმინელებს ისევე რუსებს ჯარები მიიშველიონ ბუქარესტისაკენ, მეორეც ადვილად შესძლებენ გალიციისკენ გაილაშქრონ და მდ. დუნაიზე მაკენზენის მარცხენა ფრთას მიებჯინონ. მაშინ აგრეთვე განსაცდელში ჩავარდება ის ჯარიც, რომელიც დღესაც დუნაის მარჯვენა ნაპირზე დგას და მაკენზენს უმკლავდება. ფოკშერის ველის დასაპყრობათ, ავსტრიელებმა უპირველესად კარპატების სამხრეთი ნაწილები უნდა გადმოლახონ. მათ შეუძლიათ ღელეებით და მდინარეებით გაიკაფონ გზა. თუ დავაკვირდებით რუქას დავინახამთ, რომ ეს ადგილები უფრო ხელსაყრელია მათთვის სამოქმედოთ ვიდრე ტრანსილვანიის ალპები.

გუშინდელ დღეს რუმინეთის შესახებ ახალი ცნობა არ მოსულა. რაც შეეხება აღმოსავლეთ ბრძოლის ველს აქ ისევ სვისტელნიკის და კარლიბაბის მიდამოებში ხდება შეტაკება.

X.

ომის დეპეშები

26 ღვინობისთვე.

უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.

პეტროგრადი. დასავლეთის ასპარეზი. გოლოსკოვიცე-დუბეს მიდამოში, ბროდის სამხრეთ-დასავლეთით, მოპირდაპირემ ღამე გააძლიერა ზვერვა 50—200 კაცისაგან შემდგარ რაზმებით. სვისტელნიკის მიდამოებში მოპირდაპირეს გზებზე მუშაობაში ხელი შევუშალეთ ზარბაზნის სროლით. კირლიბაბას აღმოსავლეთ მიდამოებში ჩვენმა ჯარმა იერიში მიიტანა ჩვენი სანგრების წინ დაბანდებულ მტრის ბატალიონზე. მოპირდაპირემ ჩვენი ჯარის შესაჩერებლად ორი ზარბაზანი მომართა ჩვენსკენ გაშლილ ველზე. ზარბაზნები მალე დავუზიანეთ. დამარცხებულ მტერს ჩვენი მამაცი ჯარი სანგრებში მიუხდა. 100 მეომარი აფიცრიანად დაატყვევეს, ხელთ იგდეს 2 ტყვიისმფრქვეველი და 1 ყუმბარის მტყორცნელი. დორნა-ვარტას სამხრეთით, მდ. ბორსეკსა და პუტნის ველებში ჩვენი მარჯვე მოქმედება ვითარდება. ორ დღეში აქ ხელთ ვიგდეთ 7 ტყვიისმფრქვეველი, 15 აფიცერი და 800-ზე მეტი ჯარისკაცი.

კავკასიის ასპარეზი. ჩვენმა ჯარმა ოსმალები განდევნა და აილო კალიტას სამხრეთ-დასავლეთით მდებარე სოფ. აიმური. ბიჯარის მიმართულებით ოსმალთა შემოტევა შევაჩერეთ.

რუმინეთი. ტრანსილვანიიდან ახალი ცნობები არ მიგვიღია.

დუნაის ასპარეზზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა. ბულგარელები პირადებით ჰბუგვენ რუმინელების სოფლებს.

—

რომი. საზღვაო სამინისტროს ცნობა. 24 ღვინობისთვეს, ჩვენი ნაღმოსანი და ავსტრიელების წყალქვეშა შეიბნენ. ორივე დაიღუპა. დავატყვევეთ წყალქვეშაზე მყოფი 2 აფიცერი და 11 მეზღვაური. ჩვენი ნაღმოსნის მეზღვაურები გადავარჩინეთ. 23 ღვინობისთვეს, სან-ელპინიოს წინ მტრის 3 ნაღმოსნის შემმუსვრელი გამოჩნდა და ქალაქს ზარბაზნების სროლა აუტეხა. ჩვენი ჯავშანგადაკრული მატარებელი დროზე გაჩნდა და მტრის გემები გააბრუნა. 2 გემი დავუზიანეთ. ერთი მათგანი გვერდზე გადაზნექილი სხვა გემებმა წაიყვანეს. სროლის დროს რამდენიმე კერძო სახლი დაზიანდა და მსუბუქად დაიჭრა რკინის გზის მოსამსახურე.

კიევი. ბუქარესტიდან გამოქცეულთა სიტყვით, რუმინეთის სატახტო ქალაქი სამხედრო ბანაკს დაემსგავსა. ქალაქში სამხედრო პირთ ფეხს ვერ აუქცევთ. მკვიდრნი თითქმის გაიხვეტნენ. ბევრი შენობა ლაზარეთებად აქციეს. ქუჩებში მოძრაობა შემცირდა. ყველას საქმიანი და დაფიქრებული სახე აქვთ. სიძვირე დღითი-დღე მატულობს.

ქრისტიანია. წყალქვეშა ნავების თაობაზე გერმანეთის მთავრობას ნორვეგიის მთავრობა პასუხს გადასცემს გერმანეთის აქ მყოფ დესპანს 25 ამ თვეს.

პარიზი. დღის ორ[illegible] ღამის 10 საათ[illegible] მფრინავებმა ნანს რამდენიმე ცეცხლის გამჩენი ყუმბარა დააყარეს. არავითარი მსხვერპლი არა ყოფილა, არც ნივთიერი ზიანი მიუყენებიათ.

მახლობელ აღმოსავლეთში. მთელს ბრძოლის ხაზზე ორივე მხრივ ზარბაზნების სროლაა. პრესპას მიდამოებში ფრანგებმა ბულგარელების იერიში მოიგერიეს. ვარდარის ველში ფრანგმა მფრინავებმა რამდენიმე ადგილს ყუმბარები დაუშინეს. მონასტრის მახლობლად, ჰაერში ბრძოლის შემდეგ, მტრის ერთი საფრენი ჩამოვაგდეთ.

ბაზელი. აქ მიღებულის ცნობებით, ავსტრიელებს სერბეთიდან გაჰყავთ 15 წლის ვაჟები, ავსტრია-უნგრეთში ჰგზავნიან და თავს უყრიან პესიდერსა, ნემლედსა და ტრაულაუში.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ნორვეგია და გერმანეთი.

მეტის-მეტად გამწვავდა გერმანეთ-ნორვეგიის დამოკიდებულება. ჯერ საჯაროდ არ გაუმჟღავნებიათ გულის ნადები, არც ერთ მხარეს არ დაუსხლებია სიტყვა „ომი“, მაგრამ გერმანეთი სიკვდილის მოციქულ წყალქვეშა ნავებს ხშირად ასტუმრებს ხოლმე ნორვეგიის გემებს და ზღვის უფსკრულისაკენ ისტუმრებს. მიზეზი ასეთის დაუნდობლობისა ის გარემოებაა, რომ ნორვეგიამ თავის სამფლობელო წყლებში აკრძალა უცხოელთა წყალქვეშათა ნაოსნობა და ბინადრობა. გერმანეთის მთავრობას ნორვეგიის ასეთი საქციელი 1907 წლის ჰააგაში დადებულ ხელშეკრულობის მეათე მუხლის დარღვევად მიაჩნია. ამ მუხლში კი ნათქვამია: სახელმწიფოთა ნეიტრალობა ხელშეხებულად არ ჩაითვლება თუ მის სამფლობელო წყლებში გაივლის სამხედრო ან მეომართა მიერ დავლად წამოყვანილი გემები. ნორვეგიამ კი აკრძალა წყალქვეშათა ნაოსნობა თავისს სამფლობელოს ფარგალში და ამით ეს მუხლი დაარღვიაო—ამბობს გერმანეთის მთავრობა.

ამ კონვენციის მეცხრე მუხლი კი ამბობს: ნეიტრალმა სახელმწიფომ ორივე მეომარ მხარეს თანასწორ ფარგალში უნდა შეუზღუდოს თუ აუკრძალოს რაიმე პირობები თავისს ნავთსადგურებსა, სანაოსნო გზებსა და სამფლობელო წყლებში მებრძოლთა სამხედრო ან დავლად წამოყვანილ გემთა გავლის თაობაზე.

ნორვეგიის მთავრობა დიდს საგონებელშია ჩავარდნილი და თათბირს თათბირზე ჰმართავს, რათა შესაფერი პასუხი შეუთვალოს გერმანეთის მთავრობას და ომში ჩათრევა თავიდან აიცდინოს.

ამავე საგნის თაობაზე „დენ“-ი სწერს: გერმანეთ-ნორვეგიის უთანხმოებას ჯერ იმ წერტილამდე არ მიუღწევია, რომ მისი შედეგები [illegible] შეგვეძლოს. შეერთებული შტატები რომ უფრო გაბედულად მოქმედებდნენ გერმანეთის წინააღმდეგ, მაშინ შესაძლებელია ნორვეგია უფრო გაბედულად მოიქცეოდა. ეხლა კი მისი მდგომარეობა მეტის-მეტად გაჭირვებულია.

ფეხი იბრუნა

(მოთხრობა) *)

ესე ლა დაგვრჩა სანაცვლოდ
იმ იმედისა დიდისა.

10.

უშედეგო გამოდგა ლადიკოსათვის ეს ახალი სარბიელიც ცხოვრებისა, თავის სურვილით არჩეული სამუშაო. ჯერ დიდის ხალისით და მეცადინეობით შეუდგა საქმეს, თითქო ფეხიც გამოიჩინა ნაწარმოებთა დაწეპირებაში და ცნობისმოყვარეობით მიახედა თავისაკენ თვისი ახალი თანამშრომლები, მაგრამ ბოლომდის არ გაჰყვა მას ძალა ხასიათისა: მოიმწყვანილა ყოველივე, მოიწყინა და ზურგი შეაქცია შრომას, სულაც უარჰყო იგი. არტისტთა დასის ცხოვრებიდან მხოლოდ ნეშტი ლა შეინარჩუნა ნამუსრევი, გადასაყრელი რამ ნაბერტყი: ბულვარზედ წარამარად რონინი, შიგა და შიგ ხელგაშლით ქეიფი და ბანქო. არა, კიდევ ერთი: თავისებური ტანთსაცმელი და ყოველთვის განსაკუთრებული სახის მექონი ქუდი, ხელოვნურად ნაკეც-ნაჭმუჭნი საკვირველი თავსარქმელი. პირის პარსვა ხომ აუცილებელია არტისტისათვის, თუნდაც ძალიან უყვარდეს მას წვერ-ულვაში და მასაც პირი მარად წმიდათა ჰქონდა მოპარსული.

მეტადრე ძალიან გაერთო ლადიკო ბანქოს. მთელ ღამეებს ათენებდა საყომარბაზო ადგილებში და ბევრჯერ დღესაც ზედ დასძენდა, იყო ისეთი დროც, როცა ლადიკო აღარა ხუმრობდა, ფიქრობდა ბანქოს თამაში გაეხადნა თვისი ცხოვრების საშუალებად. ეს მაშინ იყო, როდესაც შემთხვევით მოგების კვალზედ დამდგარიყო კაცი და რამდენიმე თვის განმავლობაში ბლომად შეიძინა ფული. დედ-მამა ეხლა ყურადღებას აღარ აქცევდა მის უგზო-უკვლოდ სიარულს და ჰარამ ცხოვრებას. ვეღარც შეიძლებოდა მისი ხელმძღვანელობა: უკვე ვაჟკაცი იყო დასრულებული და დრო უთხრობდა, თითონვე ჰპატრონობდა თავისი თავი. დედ-მამა მით უფრო აღარ აქცევდა შვილის ოინებს ყურადღებას, რომ მას ჯერჯერობით ფულიც აღარ გაჰქონდა სახლიდან, თავისი შემოსავლით, მოგებული ფულით, იცვამ-იხურავდა და ძალიან კოხტადაც. სწორედ ამ მოწოდებას გადაჰყვებოდა კაცი, ბანქოს განუწყვეტლად თამაშს, თუ ერთობ არ გაეთამაშებინა იგი ამ ხელობას და თავხედობამდის არ მიეტანინებინა გაბედულობა. მოგებით თავგასულმა ლადიკომ მეტად ღრმაში შებედა და მორევმა დააბორიალა ის, დააყირავა, თავი ფსკერს ახლევინა: ისეთს თვალთმაქცებს გადააწყდა, რომ აღდგომის კვერცხივით გაფცქვნეს, გვერდებიც კი შეაზილ-წააქლიბეს ამ გალევერის დროს. შეკრთა რაინდი; დაინახა, რომ ამ ფარგალშიც ვერ შესძლებდა იგი მეთაურობას და უკუდგა. არა, მთლად კი არ დაუტოვებია მას ეს ხელობა, მაგრამ ეხლა უფრო თავთხელებს ირჩევდა სახელაოდ. ბევრი ვეღარა გამოჰქონდა რა იქიდან, მაგრამ თითონაც დიდს განსაცდელს არ შეემთხვევოდა ამ ადგილებში.

ამ გზის გარდა კიდევ სხვა ფონი სცადა ლადიკომ: რამდენჯერმე თვისი სიჭაბუკე და მოქნილი აგებულობა გაიტანა ფულიან ქალთა ბაზარზედ, უფრო დროებით გასაქირავებლად, სინამ ხელაღებით გასასყიდათ, მაგრამ აქიდანაც მაგდენი ვერა ირგო რა, თუმცა რამდენჯერმე გამოება მის ანკესს მსუქანი ღლავიც. ეს მარცხი უფრო მის დაუდგრომელ ხასიათის და თავაქალობის შედეგი იყო: თვის სურვილებს ერთობ მალე ცხადჰყოფდა, ხვაშიადის ხანგრძლივი ფარვა არ შეეძლო; საკვეხურადაცკი გამოჰქონდა დასაფარავი მოქმედება და მიტომ უფრთხოდნენ მას მანდილოსნები, ვერ ენდობოდნენ. აქაც მოუცდა ნაქებ ჭაბუკს, ნახტომი შეეშალა.

მაშინ იყო, რომ ისევ მამის რჩევას დაუჯერა და ინება მოხელეობათა კიბის უმდაბლეს საფეხურზე შედგომა. ჯამაგირი თითქმის არა ჰქონდა აქ კაცს, მაგრამ მაინც ჯერ ისე ძალიან არა სჭირდებოდა, რადგან მამის ჯიბე ხსნილი იყო მისთვის. სამაგიეროდ სამოხელეო ტანისამოსი და ქუდზედ სახელისუფლო წყვილი ბჟყვრიალა ნიშანი კარგ ყავლას აძლევდა კაცს, დამჯდარ გონებიანის და მოქმედი ადამიანის იერს.

— როგორც იყო დაწყნარდა ლადიკო, სახეირო გზას დაადგა. ეხლა მამის შემწეობით მალე წაიწევს წინ სამსახურში და შეიქნება ცხოვრების შემძლე ადამიანი.

— ძალიან ადრე გამოვიდა ცხოვრებაში და დუღდა მაჭარივით, ქაფქაფებდა; ეხლა, ვგონებ, დაიდუღა, დადონდგილდა და მამის კვალზედ შედგა ჭაბუკი. კიდეც გაივლის მაგ ნაკვალზედ: კვიცი გვარზედ ჰხტის.

— ქცევა ხომ გამოიცვალა და თითქო სახეც კი სასიკეთოდ შეეცვალა: დადინჯდა, თვალები დაუწყნარდა. დროც კი უთხრობს დამშვიდდეს: უკვე გამოვიდა ჭაბუკობის ხანიდან,—ამბობდნენ მცნობნი.

მართალს ამბობდნენ! ლადიკო ეხლა ცდილობდა დინჯად დაეჭირა თავი; სამსახურშიც მუყაითად დადიოდა და თავისი ზრდილობიანი ქცევით გულს უგებდა უფროსებს; ხოლო დაბალ მოსამსახურეებს ართობდა მრავალგვარ უწმაწურ თხრობებით და ლაქლანდარობით. კიდევ იმითი აწონებდა მათ თავს, რომ მარილიანად გამოაჯავრებდა ხოლმე სამდივნოში მიმომსვლელ ქალს თუ კაცს და ხანდისხან უფროსებსაც კი, მეორე ხარისხოვან მოწინავეებს. თვის საქმეს სათანადოდ ვერ უდებდა გულს, ვერც ემარჯვებოდა იგი, მაგრამ ცდილობდა კი, რომ შესთვისებოდა სამსახურს. მისი უფროსები არ იყვნენ უმადურნი, თავაზიანადაც ეპყრობოდნენ მას მამის ხათრით და იმ იმედითაც, რომ დროთა განმავლობაში შეეჩვეოდა ის შრომას, ოთხივე ფეხით ჩადგებოდა კვალში და თითონაც ერთგულად გასწევდა უღელს, დასჭიმავდა იმ ჯამბარას, რომელზედაც იქ გაბმულნი იყვნენ მოხელეები, დიდნი თუ მცირედნი.

აი ამ გარემოებაში იყო ლადიკო, როცა მის დედ-მამას მოუხდა გაეტარებინა მთელი ზაფხული წყაროიანში, პორფირეს მოსახლეობის მხარეში. ცოლის დაჟინების გამო პეტრემ დასთხოვა ლადიკო საზაფხულოდ მის უფროსს და თან წამოიყვანა სააგარაკოდ. ჭაბუკის შესახებ სხვა აზრიცა ჰქონდა გამოცდილს და ნაწრთობ პეტრეს, თორემ მაინც გაბედავდა და არ დასთანხმდებოდა ცოლს, რადგან მდაბალ მოხელის დასასვენებლად გაშვება თითონაც ყოვლად შეუძლებლად მიაჩნდა და მავნებლად. ეტყოდა ცოლს, არ დაითხოვესო და გაანებებდა თავს. მაგრამ საქმეც ის იყო, რომ პეტრეს გულში ედვა მკვიდრად დაებინავებინა თავისი შვილი, რაიმე მყარი ნიადაგი გამოეძებნა მისთვის, რადგან კარგად ატყობდა მოხელეობაში გამოცდილი მისი თვალი, რომ ლადიკო ბოლომდის ვერ შერჩებოდა სამსახურს, იქაც დასწყვეტდა იგი აპეურებს და განაგდებდა თვის ქედიდან მძიმე უღელს ხელთუფლობისას: კარგად იცოდა, რომ არავითარი ხანგრძლივი შრომის უნარი არა ჰქონდა მის შვილს, ლაღად ნაჩვევს და უხასიათოს. პეტრეს იმედი ჰქონდა, ფულიანს თუ საიმედო მამულის პატრონ ქალს უშოვიდა იქ თავის შვილს, ჯვარს გადასწერდა და ამით ლუკმა პურს გაუჩენდა მას შემდეგისათვის. იქნება პეტრეს ცოლსაც ესეთივე რამ აზრი ამოქმედებდა, როცა გადაჭრითა ბრძანა, ლადიკოც თან წაჰყოლოდა მათ საზაფხულოდ. ქალაქში არა ერთხელ სცადა ცოლ-ქმარმა ამისთანა აზრის ასრულება, მაგრამ შეუძლებელი აღმოჩნდა ეს, რადგან იქ უკვე კარგად იცნობდნენ მათ შვილს; [illegible] კი, [illegible] მიტ ხალხში სოფლისა, შესაძლო იქნებოდა ამისთანა ბედის პოვნა.

— აი, ქალო, პორფირე გვპატიჟებს თავის სახლში ელიობა დღეს. თუ წამოხვალ, იქნება ცოტათი გაერთო და გაიხალისო,—ეუბნებოდა პეტრე თავის ცოლს.

და გახსნილ წერილს აჩვენა მას.

— წერილი რაღად მინდა?! ვინ პორფირე?

— არ იცი?! ჩემი ნათესავი პორფირე, მოსაკითხს რომ გვეგზავნის ხოლმე.

— შენი მეგობარი? წიგნი! მე აბა რას გავაკეთებ, ან ვისი [illegible]

— წაიკითხე! ყველას ერთგულად გვპატიჟება, უთუოდ წამოდითო. [illegible]

ქალმა ჩამოართვა წიგნი, გადაიკითხა და ცოტა ყოყმანის შემდეგ ბრძანა:

— კარგი, რახან არ დაიშლი, წავიდეთ. ეტლი დაიქირავე, ურემი ვისთვის [illegible]

— რა, ჩემთვის უთუოდ ცხენი [illegible]

ვ. ბარნოვი.

(შემდეგი იქნება).

---

*) იხ. „საქართველო“ № 238.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნამ იგი რაიმე გადაწყვეტილებას დაადგებოდეს წინასწარ მოლაპარაკებას აწარმოებს შვეციასთან, რომელთანაც პატარა საფერო როდი აქვს. ნორვეგიას ეფიქრება, რომ 1905 წელს მშვიდობიანობის გზით მოპოვებული უფლება დამოუკიდებელ სახელმწიფოსი, ეხლა არ შეერყეს და შვეციამ არ მოიწადინოს ნორვეგიის შეერთება.

თუ ნორვეგიასა და შვეციის შორისაც რაიმე უთანხმოება ასტყდა, ეს სრულებით ხელსაყრელი არ იქნება მოკავშირეთათვის.

—

„ტაიმს“-ის აზრით ნორვეგია-გერმანეთის უთანხმოება იქამდეა მისული, რომ ნორვეგიას ვერავითარი თავისშეკავება ვერ უშველის და გერმანელების მადას ვერ დააკმაყოფილებს.

„მატენ“-ი იმედოვნებს, ამ შემთხვევაში მოკავშირე სახელმწიფოები ისეთის ზლაზვნით არ აწარმოებენ პოლიტიკას, როგორც ბალკანეთში.

შვეციის სოციალისტების ბელადი ბრანტინგი გერმანეთ-ნორვეგიის გამწვავებულ დამოკიდებულებას ეხება და ამბობს: „აფორიაქებულის გრძნობით და ძრწოლით ვიცქირებით მეორე ქვეყნისაკენ. გერმანეთის საქციელი ომის გამოცხადებას უდრის, თუმცა ნორვეგიის მიერ წყალქვეშა ნავების თაობაზე გამოცემული წესები სკანდინავიის სახელმწიფოთა ნეიტრალობის დარღვევად არ ჩაითვლება. ამას ჩვენთვის, შვედებისთვისაც, სანიმუშო მნიშვნელობა აქვს. შვეციის მხურვალე თანაგრძნობა თანამოძმე ნორვეგიის კიდეებს აწყდება ამ საშინელ განსაცდელის წუთებში“.

—

„რუსკ. ხლოვო“-ს ცნობებით გერმანელების წყალქვეშებს დღევანდლამდე ნორვეგიის სავაჭრო გემების ერთი მეათედი უკვე დაუღუპავთ. ომის დაწყებამდე ნორვეგიის ფლოტს მთელ ქვეყანაზე მესამე ადგილი ეჭირა.

რუმინეთი.

შესძლებს თუ არა მაკენზენი მდ. დუნაის გადალახვას.

რუმინეთის ბედისწერის გადაწყვეტაში მაკენზენის ჯარის გადასვლას დუნაის გაღმა ვალახიისაკენ გადამწყვეტი მნიშვნელობა ეძლევა. ამისათვის ყველას გულისყური იქითაა მიქცეული, მოახერხებს მაკენზენი ამ საქმეს თუ ვერა.

შვეციის გაზეთ „აფტონბლად“-ის თანამშრომელთან ამ საგნის თაობაზე უსაუბრნია ავსტრია-უნგრეთის მთავარშტაბის უფროსის თანაშემწე კარლსბერგთან. მისის აზრით მაკენზენი ამ ჟამად დუნაის ვერ გადალახავს; ჯერ ერთი მან ზურგის მხარე უნდა გაიმაგროს, მეორეც ასეთი განიერი და ღრმა მდინარის გადალახვა საერთოდ მეტის-მეტად ძნელია, მესამეც მაკენზენის ჯარი შებერტყილია და შევსება ესაჭიროება. თუმცა, შესაძლებელია სტრატეგიის ჩვეულებრივი ლოღიკა სავალდებულოც არ იყოს ისეთი ბრწყინვალე სარდლისათვის, როგორიც მაკენზენია. დუნაის გადალახვა უფრო ამ ზამთარს არის მოსალოდნელი.

ამის თაობაზე „ბირჟ. ვედომ.“ სამხედრო მიმომხილველი ქ. **შუმსკი** სწერს: მაკენზენი მხოლოდ მაშინ გაჰბედავს დუნაის გადალახვას, როდესაც დობრუჯას სავსებით უზრუნველჰყოფს. ცხადია, მაკენზენმა დობრუჯაში საკმაო მომაგრებული ჯარი უნდა დასტოვოს, რადგანაც აქ ბრძოლის ხაზი სრულებით ღიაა და მაკენზენი ვერ დასტოვებს მთლად უჯაროდ. თუ დუნაის დელტამდე მიაღწია მაკენზენმა, მაშინ გაცილებით ნაკლები ჯარის დატოვება დასჭირდება. რამდენი ჯარი უნდა ჰყავდეს მაკენზენს, რომ დობრუჯაში 12—15 ვერსის ჰაობიან ადგილებში ზურგის მხრივ უზრუნველსაყოფადაც დასტოვოს საკმაო ჯარი და დუნაის გადალახვის მერე ვალახიაში მყოფ რუმინეთის ჯარსაც გაუმკლავდეს? ცხადია, რომ თვითონ დუნაის გადალახვის დროსვე დიდძალი ჯარი უნდა ჰყავდეს მაკენზენს. ამისათვის უფრო საფიქრებელია, რომ მაკენზენი ფალკენჰაინის ტრანსილვანიაში გამარჯვებას მოუცდის და მაშინ შეეცდება დუნაის გაღმა გასვლას.

რამდენს ჰხარჯავს გერმანეთი.

გაზეთების ცნობებით, გერმანეთის მთავრობას სხვა და სხვა ქვეყნებში თავისი იდეალების გასავრცელებლად 100 მილიონ მანეთზე მეტი დაუხარჯავს ომიანობის განმავლობაში 1914 წლის მარიამობისთვიდან 1916 წლის მკათათვემდე. ამერიკის შეერთებულ შტატებში დაუხარჯავს 20 მილიონი, საბერძნეთში 10 მილიონი, რუმინეთში 10, ოსმალეთში 5, ბულგარეთში 5, ავსტრიაში 6, უნგრეთში 7, შვეიცარიაში 2, შვეციაში 6 მილიონი. დანარჩენი რუსეთსა და სხვა სახელმწიფოებში.

მთაშავეთში.

ომის ქარცეცხლმა ხომ მთაშავეთის დამოუკიდებლობაც შთანთქა და მისი მეფე საფრანგეთის მიწა-წყალს შეახიზნა. ამას წინად ბოსნია-ჰერცოგოვინის სამხედრო გუბერნატორს სარკეუტიჩს ავსტრია-უნგრეთის გაზეთების წარმომადგენელთათვის განუცხადებია: მას მერე, რაც მთაშავეთი დავიპყარით, იქ წესიერება არ დარღვეულა. მართალია მთაშავეთის სამხედრო მინისტრად ნამყოფმა გენერალმა ვეშოვიჩმა სცადა აჯანყების მოწყობა, მაგრამ სათავეშივე შეუბრალებლად ჩავაქრეთ. მთაშავეთში არსებობს ძლიერი პარტია, რომელსაც სათავეში უდგას ექიმი ტომანოვიჩი. იგი 1907—1913 წლებში მინისტრად იყო და დიდი მოცადინე იყო, რომ მთაშავეთი ჰაბსბურგის სამეფო კვერთხისათვის დაემორჩილებინა. მთაშავეთის მოსახლეობას მოსწონს ჩვენი წესწყობილება, გარდა რამდენიმე კერძო პიროვნებისა, ალბანელებს კი ვერაფერი მოვუხერხეთ. რადგანაც ისინი იმთავითვე არავითარ სახელმწიფოებრივ წყობილებას ჩვეულნი არ არიან. მეორეც, აქ ენის უცოდინარობაც ხელს გვიშლის. თუმცა ეხლა გავხსენით სასწავლებლები სამოქალაქო, სამხედრო და საპოლიციო მოხელეთა მოსამზადებლად. ალბანელთა ბელადებმა პირობა მოგვცეს ხალხს მორჩილება და გაგონება ასწავლონ.

ესეც არ იყოს, ჩვენთვის ახალი საქმე ხომ არ არის ველურ ქვეყანაში ცივილიზაციის შეტანა. აიღეთ თვით ბოსნია-ჰერცოგოვინა, რომელთა მკვიდრნიც ეხლა უერთგულესი ქვეშევრდომები არიან. სამართლიან, მიზანშეწონილ და იძულებითი საშუალებით მთაშავეთისა და ალბანეთის მცხოვრებთაც ჩვენი სამართლიან კანონების კალაპოტში ჩავაყენებთ.

დეპეშა

(პეტ. დეპ. სააგენტ.)

პეტროგრადი. მთელის იმპერიიდან თავმოყრილ თავად-აზნაურთა ამომრჩევლებმ, სახელმწიფო საბჭოს წევრებად აირჩიეს: თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ-დი აფხაზი, სმოლენსკის სამაზრო მარშალი გრაფი უვაროვი და სახელმწიფო საბჭოს წევრად ნამყოფი გრაფი მუსინ-პუშკინი.

უკანასკნელი ცნობები

ჯილდო ოფიცრებს

მომავალ წლიდან იმ ოფიცრებს, რომელთაც თავი ისახელეს ომში და წმიდა გიორგის ჯვრით არიან დაჯილდოებულნი, მიეცემათ უფლება „იჯარის“ აღებისა 300-3000 მანეთამდე წლიურად; ასეთივე „იჯარა“ დაენიშნებათ მოკლულ ოფიცერთა ქვრივებს და ობლებს.

სათათბიროს მოწვევა

სანდო პირთა ცნობით პეტრეს ქალაქში სახელმწიფო სათათბიროს მოწვევას თავის დროზედ მოელიან—ესე იგი 1 გიორგობისთვეს.

მთავრობის ქარხანა ბაქოში

სამთამადნო უწყებას გადაუწყვეტია მააწყოს ბაქოში მაზუთის ქარხანა 40 მილიონის ფუთის წლიურ წარმოებით.

დამატებითი არჩევნები

რადგან მთავრობა ემხრობა ახლანდელ სათათბიროს უფლებათა გაგრძელებას ომის დასრულებამდის, ამიტომ გარდაწყვეტილია „მოთათბირეთა“ თავისუფალი ადგილების შევსება; დამატებითი არჩევნები უკვე დაუნიშნავთ ადესაში.

ცეკვის აკრძალვა

ადესის ქალაქის უფროსს აუკრძალავს ცეკვა-თამაში; ვინც დადგენილებას დაარღვევს, სამიათასი მანეთით დაისჯება.

ნორვეგია და გერმანეთი

ნორვეგიის და გერმანეთის უთანხმოებამ უკვე დაჰკარგა თავისი სიმწვავე, რადგან ნორვეგია დათმობის გზას დაადგა და შეჰპირდა გერმანეთს, სურსათის გაზიდვას გავაადვილებთო.

წყალქვეშა „დეიჩლანდი“

გერმანელთა წყალქვეშა „დეიჩლანდი“ ხელმეორედ მივიდა ამერიკაში და თან მიიტანა 750 ტონი საღებავი და სხვა ქიმიური ნაწარმოები; დაბრუნებისას იგი წამოიღებს გერმანეთისათვის ფოსტას.

ახალი ამბავი

სასახლეში.

◆ **მეფის ნაცვალს სადარბაზოდ** წარუდგა პროტოპრესვიტერი გ. შაველსკი, რომელიც დარბაზობის შემდეგ მიწვეულ იქმნა სადილათ.

◆ **მეფის ნაცვალს სადარბაზოდ** წარუდგნენ ინგლისის ჯარის პოდპოლკოვნიკი ბ. ნეპირი, კაპიტნები სკოტი და ბრომხენი, რომელნიც დარბაზობის შემდეგ საუზმეზე იქმნენ მიწვეულნი.

მთავრობის დაწესებულებანი

◆ **პროტოპრესვიტერი** გ. შაველსკი საქართველოს სამხედრო გზით გაემგზავრა რუსეთს.

◆ **გენერალ მუდრიმ** საავადმყოფო № 31, რომლის გამგეც ექიმი ყ. მ. ჩიქოვანია, დაათვალიერა და კმაყოფილი დარჩა საქმის კარგათ დაყენებით.

◆ **მაჰმადიანთა კოოპერატივის** „დახმარება“-ს წესდება თბ. გუბერნატორმა დაამტკიცა.

◆ **სამხედრო ბეგრის საკრებულოსთან** არსებულ ჯარში გაწვეულთა შეღავათის მიმცემ კომიტეტის სხდომა 27 ღვინობისთვესაა დანიშნული.

◆ **საოლქო სასამართლოს** სესია თელავს გაემგზავრა. სხდომები 24-30 ღვინობისთვემდეა დანიშნული.

◆ **კავკ. მეურნეობის ინსპექტორი** ს. ნ. ტიმოფეევი განჯის გუბერნიაში გაემგზავრა.

◆ **თბ. პოლიციის ახალი შტატები** მინისტრთა საბჭოს უკვე დაუმტკიცებია და სახელმწიფო სათათბიროს მოხსენდება.

◆ **სამოსამართლო პალატის** სესია კავკავს გაემგზავრა. სხდომები 10 გიორგობისთვემდე გასტანს.

◆ **ლტოლვილთა რიცხვი.** მთავარ რწმუნებულის ცნობებით ლტოლვილთა რიცხვი კავკასიის ფრონტზე 366,992 უდრის მათ შორის მამაკაცთა რიცხვი უდრის 28 პრც. დედაკაცთა 35 პროც. და ბავშვთა 37 პროცენტს.

◆ **ფშაველების დეპუტაცია.** გუშინ 26 ღვინობისთვეს თბ. გუბერნატორთან იყვნენ წარმომადგენლენი შუაფხოს სოფლის საზოგადოების ქ. საქვ. საზ. რწმუნებულის მეთაურობით, რომელმაც გუბერნატორს გადასცა მათი შუამდგომლობა. ქისტების თავდასხმისაგან დაცვის შესახებ გუბერნატორმა განუცხადა დეპუტაციას, რომ იარაღის მიცემაზე სიები გადაეცა სამაზრო ადმინისტრაციას გადასათვალიერებლად, რადგან სიებში იარაღის რიცხვი გადამეტებულად დაინახა, მათი დამოკიდებულებაც ქისტებთან ისევე ვეცდებით მოვაგვაროთ, როგორც პანკისის ხეობაშია. ჯარში გასაწვევთა შესახებ განუცხადა, რომ ისინი მოვალენი არიან ჯერ გამოცხადდნენ და მერე გადავრიცხავთ დარაჯებათ, რამდენიც საჭირო იქნება იმ ადგილისთვის, საიდანაც იქმნენ გაწვეულნი. ცეცხლისაგან დაზარალებულთა ფშაველების ანაზღაურების საკითხი ჯერ გადაუწყვეტელი დარჩება, ვინაიდან არ არის გამორკვეული რა თანხიდან უნდა იქმნეს დაკმაყოფილებულნი დაზარალებულნი. დაზარალებულთა სიები ხელმეორედ გაეგზავნება სამაზრო ადმინისტრაციასო.

◆ **მეფის საგვარეულოს სურათები.** მათ უმაღლესობის ტატიანა ნიკოლოზის ასულის სახელობის კომიტეტმა აცნობა ქ. საქვ. საზ. გამგეობას, რომ ყველა დაწესებულებაში, რომელსაც დახმარებას უწევს ეს კომიტეტი, უნდა იქმნეს დაკიდული ხელმწიფე იმპერატორისა და ტატიანა ნიკოლოზის ასულის სურათები.

ქართული დაწესებულებანი.

◆ **ქ. საქვ. საზ. გამგეობის კრება.** 25 ღვინობისთვეს მ. ვ მაჩაბლის თავმჯდომარეობით შესდგა მრავალრიცხოვანი კრება ქ. საქვ. საზ. გამგეობისა. კრებას დაესწრო სახელმწიფო სათათბიროს წევრი ბ-ნი აკ. ჩხენკელი, რომელმაც მეტად საგულისხმიერო მოხსენება წარუდგინა კრებას თავის მოგზაურობის შესახებ არტაანის ოლქში. პატივცემული დეპუტატი შეეხო თვის კერაზე დაბრუნებულ ქართველ მაჰმადიანთა საკითხს. დეპუტატის აზრით საჭიროა სწრაფი დახმარება მათ მეურნეობის და მდგომარეობის გასაუმჯობესებლად როგორც ფულით, ისე მორალურად. შემდეგ შეეხო მიწების საკითხს, თუ როგორ დაიბრუნონ დაბრუნებულმა ქართველ მაჰმადიანებმა თავიანთი მიწები. ბ-ნ ჩხენკელის აზრით მთელი მათი მიწების აღება მათ გადასაცემად უნდა იკისროს ქ. საქვ. საზ. გამგეობამ. დასასრულ, მომხსენებელი შეეხო აჭარელთა პროცესს და ის დაასკვნა, რომ ეს პროცესები ან სულ უნდა მოისპოს, ან და სამოქალაქო სასამართლოს გადაეცეს განსახილველად. ბ-ნი ჩხენკელი ყველა ამ საკითხების შესახებ, როგორც თვით განაცხადა კრებაზე, წარუდგება ამ დღეებში მათ უმაღლესობას მეფის ნაცვალს სადარბაზოდ. კრებამ დიდი მადლობა განუცხადა ბ-ნ ჩხენკელს იმ მზრუნველობისათვის, რომელიც მან იტვირთა თავის ტვირთ მძიმე თანამემამულეთა უღლის შესამსუბუქებლად.

◆ **სას. სემინ. რექტორის დეკ. კეკელიძის შუამდგომლობა.** თბილისის სასულიერო სემინარიის ახლად დანიშნულმა რექტორმა დეკ. კ. კეკელიძემ ქ. საქველმოქმედო საზოგადოებას მიმართა თხოვნით. თვის თხოვნაში მ. რექტორი ატყობინებს გამგეობას, რომ სემინარიაში 400-მდე ქართველი მოწაფე ირიცხება, უმრავლესობა ეკუთვნის სოფლის უღარიბეს ნაწილს და, როგორც სოფლის შვილები, სხვებთან ერთად მტკივნეულად განიცდიან სადღეისო გასაჭირს. სხვა მოწაფეთა შედარებით სემინარიელთა გასაჭირს განსაკუთრებული მძიმე ხასიათი აქვს. ომის დაწყებამდის სემინარიასთან არსებობდა პანსიონი, რომელშიაც მოწაფეთა უმრავლესობა ჰპოვებდა ბინას და ცოტად თუ ბევრად ჰიგიენურ პირობებში სცხოვრობდა. ომის დაწყებიდან კი ეს თავშესაფარი მათ ომის საჭიროებისათვის ჩამოაცალეს და თითქმის ქუჩის ანაბარა დასტოვეს. მ. რექტორის გამოანგარიშებით მოწაფეთა 78% ანუ 330 მოწაფე საჭიროებს სრულს ან ნაწილობრივ დახმარებას. ამათში 15 მოწაფეს სრულიად არა აქვს ბინა და ამხანაგებთან ათევენ. 18 პროც. ანუ 71 მოწაფე სცხოვრობს სრულიად უვარგისს ბნელს ბინაზე—სარდაფებში, სამზარეულოებში და სძინავთ ხშირად ცივს იატაკზედ. საზამთრო პალტო აქვს მხოლოდ 8 პროც. 47 პრ. სრულიად არა აქვს თბილი ტანისამოსი. 30 პროც. ე. ი. 113 მოწაფე იკვებება მხოლოდ ხმელი პურით და ჩაით. ასწერს რა ამ საშინელ სურათს სემინარიელთა გაჭირვებისას მ. რექტორი სთხოვს საქვ. საზ. გამგეობას, მსგავსად წარსულ წლისა, შემწეობა აღმოუჩინოს სემინარიელებს რამდენადაც კი ეს შესაძლებელი არის.

ქალაქის დაწესებულებანი.

◆ **ქალაქის მოურავმა დეპეშა** მიიღო მოსკოვის ქალაქთა კავშირის თავმჯდომარის მ. ვ. ჩელნოკოვისაგან, რომელიც ატყობინებს, რომ 5—7 გიორგობისთვეს მოსკოვში მოხდება სასურსათო თათბირი და სთხოვს კავკასიის ქალაქთა კავშირს თავისი წარმომადგენელი წარმოგზავნოს ყრილობაზე.

◆ **ქალაქის კავშირის ლაზარეთები.** დაჭრილ ჯარის-კაცების მომვლელი ბაქოს ქალაქის კომიტეტი 79,322 მანეთსა სთხოვს ქალაქთა კავშირის განყოფილებას ლაზარეთების შესანახად. ამავე საგნისათვის ყარსის კომიტეტი 3.000 მანეთს თხოულობს.

◆ **ხოლერა.** ქალაქის ლაზარეთში 6 ხოლერიანი დარჩა. 25 ამა თვეს გარდაიცვალა ლაზარეთში 1 ხოლერიანი და გაეწერა 1 კაცი.

◆ **ქალაქის ცენტრალური პურის საცხობი** 1 ხარისხის ფქვილის სიმცირის გამო თალხ პურის გამოცხობას შეუდგა. გირვანქა 9 კაპ. ღირება ამ ფქვილისა.

◆ **ქალაქის გამგეობას კრება** ჰქონდა 25 ამა თვეს და მოისმინა ბ-ნ ჯაბარის განმარტებანი ბ-ნ პროტასიევის რევიზიის გამო. გამგეობამ რევიზიის დასკვნის ზოგიერთი მუხლი მხედველობაში მიიღო, ზოგიერთ მუხლის შესახებ მოხსენებას წარუდგენს საბჭოს, ხოლო ზოგიერთი მუხლი სავალდებულოდ არა სცნო.

სასულიერო უწყებაში.

◆ **მუზეუმის დათვალიერება.** 25 ღვინობისთვეს საქართველოს ექსარხოსმა მ. ყ. უ. პლატონმა, გორის ეპ. ყ. სამღვდელო ანტონის, სასულიერო სემინარიის რექტორის დეკ. კ. კეკელიძისა და დეკ. კ. ცინცაძის თანხლებით დაათვალიერეს ქართ. საისტორიო და საეთნოგრაფიო და წ.-კ. გამავრც. საზ. მუზეუმები. მუზეუმში დახვდნენ ბ.ბ. ე. თაყაიშვილი, დ. კარიჭაშვილი და ი. აბულაძე, რომლებიც ახსნა-განმარტებას აძლევდნენ სტუმრებს.

◆ **სასულიერო სემინარიაში.** 25 ღვინობისთვეს საქართველოს ექსარხოსმა მ. ყ. უ. პლატონმა ქართულ გიმნაზიაში თავშეფარებული სასულიერო სემინარია დაათვალიერა და გაკვეთილებზე დაესწრო. ექსარხოსთან ერთად იყვნენ ყ. უ. ანტონი ეპ. გორისა და დეკ. კ. ცინცაძე. ექსარხოსს დახვდა რექტორი სემინარიისა დეკ. კ. კეკელიძე.

სასწავლებლებში.

◆ **ქალთა უმაღლესი კურსები.** გარდა იმ 10 ათასი მანეთისა, რომელსაც თბილისის ქალაქის თვითმართველობა ყოველ წლიურად აძლევს მას, კიდევ 15 ათას მანეთს სთხოვს ქალაქს. 120 ათასი მანეთით ზედმეტი ხარჯი მოსვლია კურსებს საქიმო ფაკულტეტის დაარსებით. ამ თანხიდან 40-50 ათას მანეთს კურსები თავისი ძალღონით გაისტუმრებს, ხოლო 70 ათას მანეთამდე შეგროვებას აპირებს საზოგადო დაწესებულებათა და კერძო პირთა დახმარებით.

◆ **ავლაბრის გაუთა გიმნაზიის** ადმინისტრაციამ სთხოვა ქალაქის გამგეობას, რომ ანუ 7000 მისცეს მას ერთდროულად და ანუ სწავლის ფულის გადიდების ნება დართოს 40 მანეთიდან 60 მანეთამდე. გამგეობამ განიხილა ეს საკითხი და დაადგინა გადიდდეს სწავლის ფული, რადგან თავისი კასიდან ვერაფერს დაეხმარება გიმნაზიას.

სხვა და სხვა ამბები.

◆ **გაქურდვა ქალაქთა კავშირის საავადმყოფოსი.** ვორონცოვის ქ. მოთავსებულ ქალაქთა კავშირის № 37 საავადმყოფოს გამგემ ს. დ. დავითიანმა განუცხადა პოლიციას, რომ უცნობ პირებს მოუპარავთ სარეცხის ბინიდან 1000 ცალი „სასადილო და სხვა საცვლები 1000 მან. ღირებული. პოლიციამ აღმოაჩინა მომეტებული ნაწილი ამ საცვლებისა და შეიპყრა ქურდები. იგინი აღმოჩნდნენ: რ. გუსეინ ოღლი, მ. იბრაგიმ-ოღლი, ს. ი. ოგაჯანოვი და ისმაილ ოღლი.

◆ **საქველმოქმედო მიზნით** თბ. გუბერნატორმა ნება დართო: 1) ქალთა მე-5 გიმნაზიის მშობელთა წრეს 30 გიორგობისთვეს არტისტულ საზოგადოებაში წარმოდგენა გამართოს, 2) პეტროგრადის ქალთა უმაღლეს სამედიცინო ფაკულტეტზე ქალთა უმაღლეს ფაკულტეტზე მსმენელთა საზოგადოების თბ. განყოფილებას—გამართოს 16 ნოემბერს წარმოდგენა საარტისტო საზ. დარბაზში.

◆ **თავდასხმა,** როგორც თბ. გუბერნატორის კანც. ატყობინებენ 8 შეიარაღებული პირი ს. კუჭატანის მცხოვრებ გ. ყაზაგურაშვილს თავს დასხმიან და 1300 მან. წაურთმევიათ.

◆ **„ახალ კლუბის“** წევრთა საგანგებო კრება, მხცოვან ისტორიკოს და არქეოლოგ თ. დ. ჟორდანიას დაკრძალვის გამო გადაიდო 6 გიორგობისთვისათვის.

◆ **ტრამვაის მოძრაობა** თბ. სადგურ და კახეთის მოედნის შუა გადაუჯდომლად გუშინდლიდან დაიწყო.

კოოპერ. „მეურნის“ გამგეობას სამხედრო მიმოსვლათა უფროსმა გენ.-ლ. კარპოვმა ნება დართო ერთი ვაგონი ფქვილის მოტანა რუსეთიდან.

◆ **ამხ. „ქართლის“** ხილი ამჟამად იყიდება ვერის რაიონშიაც, სახელდობრ, კერვალიშვილის მაღაზიაში წყნეთის ქუჩაზე № 44.

◆ **„ნოვაია რეჩის“** წიგნის მაღაზიამ ი. დ. კიკნაძისამ დიდი დავიდარაბის შემდეგ მიიღო ყოველგვარი სახელმძღვანელოები ყველა სასწავლებლებისათვის.

◆ **სტუდენტების შემოწმება ჯარში გასაწვევად.** თბ. ქალაქის სამხედრო ბეგრის საკრებულოში 27 ღვინობისთვეს დანიშნულია შემოწმება ჯარში გასაწვევ სტუდენტებისა.

◆ **სასურსათო თათბირი.** კვირას, 30 ღვინობისთვეს დანიშნულია სასურსათო თათბირი, რომელზედაც მოსმენილი იქნება მოხსენება გამგეობის წევრის მ. ა. ჯაბარისა მეფის ნაცვლის საბჭოს წევრის ბ-ნ პროტასიევის რევიზიის დეფექტების შესახებ.

◆ **ფქვილის გამყიდველები** კ. ი. შაშკოვსკიმ დაიბარა და განუცხადა, რომ თუ ისინი ფასებს ასწევენ ფქვილზე იძულებული იქნება იგი მათ ეს ფქვილი ჩამოართოს რეკვიზიციის სახით.

◆ **სახელმწიფო ბანკის** თბილისის კანტორამ სთხოვა ქალაქის გამგეობას მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო შინაგან სესხის განაღდებაში. გამგეობამ თხოვნა შეიწყნარა და ამ საქმის მოსაწესრიგებლად თავის მხრივ აირჩია გ. დ. ჟურული. ეს უკანასკნელი მოელაპარაკება ბანკის გამგეს ავანსის რაოდენობის შესახებ.

ჩვენი თედოს ხსოვნას

ქართველნი საუკუნეთა განმავლობაში შევეჩვიენით ჭირთა მრავალთა დათმენასა. ყოველთვის გაჭირვებაში განგებისამიერ დიდი ჭირისუფალნი გვევლინებოდნენ და ვმხნევდებოდით „ჭირთა დათმენად“. უკანასკნელი ასი წელიწადი მხოლოთ გამუდმებული ჭირი და ვარამი იყო ჩვენის სამშობლოსათვის და იმ დროში თითებზედ დაგვეთვლება ჭეშმარიტნი ჭირისუფალნი—მებრძოლნი სამშობლოს ჭირმრავლობისა, იოანე და თეიმურაზ ბატონიშვილები, დ. ყიფიანი, იონა ბერი, ტარასი ბერი, ნიკოლოზ და დავით ჩუბინაშვილები, მარი [illegible] იოსელიანი, დ. ბაქრაძე [illegible] აი ამ ასის წლის განმავლობაში ჭირისუფალნი ჩვენის საერთო დაცემულობისა და განადგურებისა. დღეს მათი მოსაგრეა ჩვენი საყვარელი თედო, მათ შორის დაისადგურა. მართალია, ჩვენში საზოგადოთ სიამტკბილობით არავის განუტარებია თავისი სიცოცხლე, უმადურმა შრომამ ბევრს ჩაამწარა სიცოცხლე და ადრე გამოასალმა წუთის სოფელს, მაგრამ რაღა განსვენებულს თედოს გარდაჰხდენია თავსა, ეს ყველას აღემატება და უებროა. მისი დაუღალავი ბრძოლა პავლე ეგზარხოსთან და სხ. საზღაპროა: დამცირება-დამდაბლება, სამსახურიდგან დათხოვნა, ერთი ადგილიდგან მეორეზედ გადაყვან-გადმოყვანა, აბუჩად აგდება—ყველა ესე საქებურად გამოსცადა და დაითმინა. მისი თავგამოდებული ბრძოლა ქართული ენისათვის სამეგრელოში სინოდის კანტორაში ხმა მაღლა ჰღაღადებს თედოს მამულისშვილობასა! მისი დაუძინებელის და დაუღალავის შრომის ნაყოფნი—„ქრონიკები“ და სხ. მკაფიოდ მეტყველებენ თედოს მიერ საქართველოს ძველი ისტორიის ზედმიწევნით ცოდნასა და დიადს ღვაწლსა. თედოს ესრეთის შრომისა და ღვაწლისა მე თვით მოწამე ვარ და გულს მითუთქავს, რომ ასე მომზადებული და დაუზარებელი მშრომელი სწორეთ იმ დროს გამოგვეცალა ხელიდგან, როდესაც უფრო წარმატებით და ნაყოფიერად უნდა ემუშავნა და ღვაწნა ჩვენის ისტორიისათვის. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი დღევანდელი მწერალ-მისტორიეთა გულწრფელად დაენანებათ და დაიტირებენ თედოს. მისი დარბაისლური სულგრძელებით „ჭირთა დათმენა“ ყველასათვის მისაბაძია. იგი იყო ძმათა შორის სიყვარულისა და ერთობის მქადაგებელი. იგი მტერი იყო ერთმანეთის გაუტანლობისა და დაუნდობლობისა. იგი ბრწყინვალე დამცველი იყო ისტორიულის სიმართლისა და მდევნელი სიცრუვისა და სიყალბისა ისტორიაში.

ამ ერთის თვის წინათ მხვდა ნახვა თედოსი ბ. გედევანიშვილის სამკურნალოში. თავს კარგათ გრძნობდა განსვენებული, ბევრს რასმეს ახალს ნაშრომს გვპირდებოდა და გვამხნევებდა შრომისათვის. თავის მოქიშპეთა და მეშურნეთა ლმობიერებით იხსენიებდა. მისი ნაშრომნი-ნაწერნი უკვდავნი არიან ჩვენს ისტორიულ მწერლობაში და ბევრი თაობა მოიხმარებს და გამოიყენებს შემდეგში. თედოსთანა მამულისშვილის დაკარგვა ჩვენის ქვეყნისათვის მეტად საზარალოა და სამწუხარო, მაგრამ მისი ტანჯვით განვლილი ცხოვრება ჟველას გვამხნევებს, გვიღვივებს იმედსა უკეთესის მერმისისას.

მღ. პ. კარბელაშვილი.

თ. ჟორდანიას გარდაცვალების გამო

სამძიმრის დეპეშები

ფრიად დაგვამწუხრა სახელოვან ისტორიკოსის თედო ჟორდანიას უდროოთ გარდაცვალებამ. საქართველომ დაჰკარგა მასში კიდევ ერთი საუკეთესო შვილი და თავის წარსულის შესანიშნავი მკვლევარი.

ფედოსი და სიმონ ქვარიანი.

—

25 ღვინობისთვეს თბილისის საქალებო საეპარქიო სასწავლებელში პანაშვიდი გადაიხადეს თ. ჟორდანიას სულის მოსახსენებლათ. განსვენებული ამ სასწავლებელში რამდენსამე წელიწადს მასწავლებლად იყო.

—

26 ღვინობისთვეს ქართველთა შორის წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოებამ დაადგინა ქართულ მოღვაწეთა პანთეონში დაიკრძალოს განსვენებული თ. ჟორდანია. გვირგვინის ნაცვლად გაიღოს ხუთი თუმანი გასვენებისათვის საჭირო ხარჯების დასაფარავად.

—

ბათომი. ისტორიკოს ჟორდანიას გარდაცვალებამ დიდად დაამწუხრა განსვენებულის ყოფილი მოწაფენი. საქართველომ დაჰკარგა იშვიათი მკვლევარი წარსულისა; განსვენებულის ღვაწლი ღირსეულად დაფასდება მომავალში.

დეკანოზი თოხაძე, მასწავლებელი ფერაძე.

—

მიტროპოლიტ პიტირიმისაგან ყ-დ უსამღვდ. ანტონმა, ეპ. გორისამ დეპეშა მიიღო. მათი მეუფება მიტროპოლიტი პიტირიმი სთხოვს ეპ. ანტონის გარდასცეს განსვენებულ თ. დ. ჟორდანიას ოჯახს და ქართველ საზოგადოებას თავისი ულრმესი მწუხარების გრძნობანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღია წერილი

ქართულ დრამატ. საზ. გამგეობას

ვსთხოვ დრ. საზ. გამგეობას შეგვატყობინოს, აპირებს იგი საზოგადო კრების მოწვევას თუ არა, რადგან მე კარგათ მახსოვს, რომ უკანასკნელ საზოგადო კრებაზე გადაწყვეტილი იყო, კრების გაგრძელება არ გასცილებოდა ენკენისთვეს. ამას გარდა, ქართული თეატრის მდგომარეობა გვიკარნახებს, რომ გამგეობას, რაც შეიძლება ადრე, უნდა მოეწვია საზოგადო კრება მრავალი კითხვების გამოსარკვევად და პირველ ყოვლისა, ქართულ თეატრის აშენების საქმის მოსაწყობად. აგრეთვე, მე მგონია, დროა **ვადა გასულმა გამგეობამ** მოილოს მოწყალება და მოგვცეს უფლება ჩვენს საქმეებს ჩვენვე ვეპატრონოთ, რაიც გვეკუთვნის წესდების უფლების ძალით. მე მგონია, უწესოებაა ყოველ გასული გამგეობა ასე არხეინად იყოს და ქართული თეატრი კი უმწეო დღეში იმყოფებოდეს.

გთხოვთ შეგვატყობინოთ, როდის იწვევთ კრებას.

ქ. დრამატ. საზ. წევრი.

თათბირი ქართველ მაჰმადიანების შესახებ

25 ღვინობისთვეს ქართულ საქველ. მოქ. საზოგ. მთავარ გამგეობას კრება ჰქონდა, რომელზედაც მიწვეული იყვნენ სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი ბ-ნი აკაკი ჩხენკელი და ქართულ დაწესებულებათა წარმომადგენელნი. კრებამ თათბირი იქონია ქართველ მაჰმადიანთა უმწეო მდგომარეობის შესახებ. დეპუტატმა ჩხენკელმა, რომელმაც ამას წინად შემოიარა არტაანისა, ართვინისა და ბათომის ოლქები, ამ კრებას გააცნო იქაურ მაჰმადიან ქართველების მდგომარეობა, განსაკუთრებით კი იმ ოჯახებისა, რომელნიც ოსმალეთის რაზმების შემოსევის დროს იძულებული გახდნენ თავიანთი სახლ-კარი დაეტოვებინათ. განსაკუთრებით აღნიშნულ იქმნა 4 გარემოება:

1) მიუხედავად სრული უდანაშაულობის გამორკვევისა, ქართველ მაჰმადიანებს ისევ აძლევენ სამხედრო პასუხის გებაში; 2) მიმალული ოჯახები უკან რომ ბრუნდებიან, თავიანთ მიწა-წყლის დაბრუნება უძნელდებათ, რადგან ეს მიწა-წყალი სახლკარიანა სხვებს, განსაკუთრებით უცხო ტომის ხალხს დაუჭერიათ; 3) ყველა ქართველი მაჰმადიანი, განსაკუთრებით-კი უკანვე დაბრუნებულნი, უკიდურეს ქონებრივ სიღატაკეს განიცდიან; 4) ბევრს გაქცეულს უკანვე დაბრუნების ეშინია, თუმცა მათ მთავრობა სრულებით არ სდევნის და არც პასუხის გებაში იქნებიან მიცემული, როგორც უდანაშაულო ხალხი. კრებაზე სურვილი გამოითქვა, რომ საქველმოქმედო საზოგადოებამ საგანგებო დეპუტაცია აირჩიოს, რომელიც დიდის მთავრის, მეფის ნაცვლის, წინაშე უნდა წარსდგეს და შემდეგი შუამდგომლობა აღძრას: ა) მიუხედავად იმისა, რომ მეფის ნაცვალმა თავის დროზე ბრძანა, რომ ბათომის ოლქის ქართველი მაჰმადიანები სახელმწიფოს მოღალატეებად არ ჩაითვლებიან და სამხედრო სამართალში აღარ მიეცემიანო, ბევრს მათგანს მაინც მოელის სამხედრო სასამართლოს წინაშე პასუხის გება, მეფის ნაცვალმა ახსნას მათ უსაშინელესი ბრალდება სახელმწიფოს ღალატისა და სამხედრო სასამართლოს წინაშე პასუხის მგებლობიდან გაანთავისუფლოს; თუ ვისმე მათგანს რაიმე ბრალი ედება, პასუხი აგონ სიმოქალაქო სასამართლოს წინაშე. ბ) უკანვე დაბრუნებულებს დაუბრუნდეთ თავიანთი სახლკარი და ადგილ-მამული, ხოლო სანამ ისინი დაბრუნდებოდნენ, მათი ადგილმამული მოსავლელად იჯარით გადაეცეს ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას. გ) უკან დაბრუნებულებს მიეცეთ იმდენი დახმარება ფულად თუ საქონლით, რომ თავიანთი დაქცეული ოჯახის აღდგენა შეეძლოთ და დ) იმ გარდახვეწილებს, რომელნიც სხვა და სხვა მიზეზის გამო ვერ ბრუნდებიან, ნება მიეცეთ დაუბრუნდნენ თავიანთ სოფელს.

ზემო აღნიშნულ მუხლების შესახებ დეპუტატი ჩხენკელი ცალკე, დამოუკიდებლად, აპირებს შუამდგომლობის აღძვრას მეფის ნაცვლის წინაშე, როცა მას აუდიენციას დაუნიშნავენ.

დარდანელის საკითხი

„ნოვ. ვრემია“ მეთაურ წერილს უძღვნის დარდანელის საკითხს. საქმე ისაა, რომ ამ ბოლო დროს გერმანეთის გაზეთებში, თურმე, ბევრსა სწერენ დარდანელის მნიშვნელობასა და მის მომავალ ბედზე.

„ნოვ. ვრ.“ სწერს: კანცლერმა რაიხსტაგში განაცხადა: გერმანეთის უმთავრესი მტერი ინგლისია, რუსეთი კი არც კი უხსენებია. გამოდის რომ, თუ ინგლისი უმთავრესი მტერია, სჩანს რუსეთი უმთავრესი მტერი არა ყოფილა. არაუმთავრეს მტერს შეიძლება უფრო რბილად მოვექცეთ, უმთავრესს კი პირდაპირი ანგარიში გავუწიოთო. დარდანელის სრუტე ერთგვარად აინტერესებს გერმანეთსაც და რუსეთსაც. აქ მათი ინტერესები ერთმანეთს ეტმასნება.

რუსეთისათვის საჭიროა არა სტამბოლის დაპყრობა, არამედ ბოსფორ-დარდანელში თავისუფალი ნაოსნობა—ასე ჰსაზრავენ გერმანული გაზეთები. რუსეთმა რომ მოიწადინოს თავისი სამფლობელოს გაფართოვება საბერძნეთის მიჯნებამდე, მას უსათუოდ წინ გადაეღობება უძლიერესი კოალიცია: ჩინეთისა, იაპონიისა, ავსტრიისა, გერმანეთისა, ინგლისისა და ოსმალეთისა.

ასეთი კავშირის წინააღმდეგ რუსეთი ვერას გააწყობს. ამასთანავე სტამბოლის დაპყრობა რუსეთის სახელმწიფო ღერძს იმდენად დასწევდა სამხრეთისაკენ, რომ მთელი რუსეთის შინაგანი წყობილება შეიცვლებოდა. რუსეთს სტამბოლი კი არა სჭირდება, არამედ თავისუფალი გზა დარდანელ-ბოსფორის სრუტეში.

მეორეც, თვითონ რუსებმაც კარგად შეიგნეს, რომ სოფიაში ჯვარის ამართვა განუხორციელებელ ოცნებად დარჩათ. თუ წინად ოსმალეთზე შეიძლებოდა ლაპარაკი, როგორც „დავრდომილ ადამიანზე“, ეხლა ოსმალებმაც უკვე დაამტკიცეს, თუ რაოდენი სასიცოცხლო ძალა და ენერგია ყოფილა დაფარული ოსმალეთის სახელმწიფოში. ამის გამო სტამბოლის დაპყრობაზე ოცნებობა—ეს უბრალო გულუბრყვილობაა. ოსმალეთმა უკვე შესძლო ავსტრიისა და გერმანეთის თანაბარი მდგომარეობა მოეპოვებინა: ახალი შეთანხმებით ოსმალეთი თავისუფალია კაპიტულიაციის რეჟიმისაგანაც, ე. ი. კონსულთა იურისდიქციისაგან. განა გამარჯვებული ოსმალეთი იკისრებს რომ თავისი სატახტო ქალაქი რუსეთს დაუთმოს? რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრად ნამყოფი საზონოვიც თუ ამბობდა რასმე არა სტამბოლის დაპყრობაზე, არამედ სამხრეთის ზღვებში თავისუფალ გასასვლელ გზაზე.

მესამეც, განა ინგლისელები ოდესმე დასთმობენ სტამბოლს რუსეთის გულისათვის? სტამბოლის დათმობა ისეთს საფრთხეში ჩააგდებდა ეგვიპტეს, რომ ინგლისელები ისევ გერმანელებთან არჩევდნენ შეკავშირებას, ვიდრე დარდანელში რუსეთს გააბატონებდნენ.

„ნ. ვ.“ დაასკვნის: ამ სამი დებულებიდან ერთი დასკვნა გამოდის. თუ კი რუსეთისათვის არც სასურველია და არც ხელსაყრელი სტამბოლის დაპყრობა, სჩანს გერმანეთთან დაახლოვება სადღესხვალო საქმე ყოფილა. რადგანაც, რაწამს რუსეთი ტერიტორიის დაპყრობაზე ხელს აიღებს, მაშინ რუსეთისა და გერმანეთის მიზანი ერთი და იგივე გამოდის. განა გერმანეთი სულ იმას არ გაიძახის, რომ დღევანდელ ომის მიზანია თავისუფალი სანაოსნო გზების მოპოვება და ამ საქმეში ინგლისის მიერ შექმნილ დაბრკოლებათა გაუქმებაო. გერმანეთი ბელგიის სანაპიროებს ეპოტინება მხოლოდ იმისთვის, რომ აქედან თავისი ნაწარმოები თავისუფლად გაიტანოს ატლანტის ოკეანეში და ინგლისს მეტოქეობა გაუწიოს. თუ კი ინგლისმა რუსეთს თავს მოახვია ისეთი ხელშეკრულება, რომლითაც რუსეთისათვის დარდანელი დაიხშო, ეხლა გერმანეთი რუსეთს უნდა გამოესარჩლოს სამართლიან მოთხოვნილებაში. დაე ბოსფორი და დარდანელი ყველა სამხედრო თუ სავაჭრო გემებისათვის მუდამ ღია და ხსნილი იყოს როგორც მშვიდობიანობის ისე ომიანობის დროს.

თუ საკითხი ასე დაისვა, ოსმალებიც არ წავლენ ამის წინააღმდეგ, რადგანაც დარდანელის დაკეტვა ოსმალეთის სუვერენულ უფლებათა შეზღუდვაა.

„ნ. ვრ.“-ია ბოლოს დაასკვნის: ყველა ეს ლათაიები იმისათვის იწერება, რომ რუსეთს ინგლისის მოქმედების გულწრფელობაში იჭვი შეიტანონ.

ქართული წარმოდგენების საქმე ბათომში

27 ენკენისთვეს, ბათომის სცენის მოყვარეთა წრემ ვალ. შალიკაშვილის რეჟისორობით დაიწყო ზამთრის სეზონი რკინის თეატრში. როგორც ადრე ვწერდით, ეს წრე უკვე წელზედ მეტია, რომ შეუწყვეტლივ მოღვაწეობს და იმდენად კარგად წაიყვანა საქმე, რომ დღეს ჩვენ არაჩვეულებრივი მოვლენის მოწმენი ვართ: თეატრის შენობა მუდამ სავსეა მაყურებლებით. დაიარება უმეტესად მდაბიო ხალხი. ვალ. შალიკაშვილს, რომელიც წრემ ხელმძღვანელად მიიწვია, როგორც დახელოვნებული მუშაკი, დიდი სიფრთხილე მართებს პიესების ამორჩევაში, მისი გამოცდილება ამის გარანტიას გვაძლევს, და თუ ისე წაიყვანს საქმეს, როგორც ამ ხუთი წარმოდგენის დროს, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართული ხელოვნება ბათუმშიაც ისე მაგრად მოიკიდებს ფეხს, როგორც ქუთაისში და თბილისში. პირველად ითამაშეს გომართელის პიესა „ქოხში“. ეს პიესა დაწერილია ხალხის მოძრაობის დროსა და დღეს იმ შთაბეჭდილებას ვერ სტოვებს, როგორსაც იმ დროს სტოვებდა, ერთი უდიდესი ნაკლიცა აქვს: ყალბია მთელი მეხუთე მოქმედება, სადაც საჩინო ახრჩობს მის ძმა ლუკას მხოლოდ იმიტომ, რომ ის ჰლექით ავადმყოფია და შეუძლია მთელი მისი ოჯახი დაასნეულოს. სამაგიეროდ ძლიერ კარგია მეექვსე სურათი, როგორც ლოგიკური დასკვნა მეხუთე მოქმედებისა. საერთოდ პიესა ხალხურია და შინაარსიანი, მსახიობებმა თითქმის უნაკლულოდ ითამაშეს. შალიკაშვილი გულიაშვილის როლში შეუდარებელი იყო. დანარჩენ მოთამაშეებში ყურადღებას იქცევდნენ ქ-ნ ვადაჭკორია, ქ-ნ კავთელი და ივ. ბარველი. მეორედ ითამაშეს დ. კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერება“ და ვ. გუნიასი „ადვოკატთან“. ამ წარმოდგენას სხვათა შორის დაესწრო ავტორი, რომელსაც საზოგადოებამ პარტერში დიდი ოვაცია გაუმართა. ეს პიესები ისევე მწყობრად და სიხალისით ითამაშეს, როგორც პირველი; აქაც ყურადღებას იქცევდა ვ. შალიკაშვილი, დანარჩენები მას ხელს უწყობდნენ. მესამედ ითამაშეს »შენი ჭირიმე“ შ. დადიანისა ⁊ გომართელის „იასონის ოინები“. ხოლო მეოთხე და მეხუთე წარმოდგენებისათვის მოიწვიეს დამსახურებული და ჩვენი სასიქადულო მსახიობი ვასო აბაშიძე. პიესაც პირველ გასტროლისათვის შესაფერისი აერჩიათ—გედევანიშვილის „მსხვერპლი“. არც ცდა და არც შრომა, ეტყობა, რეჟისორს პიესის კარგად მოწყობისათვის არ დაუზოგავს და აცრემლიანებული საზოგადოება სრულს კმაყოფილებას განიცდიდა ვასო აბაშიძისა და ვ. შალიკაშვილის თამაშისაგან, მხოლოდ არ შემიძლია არ ვუსაყვედურო რეჟისორს ის, რომ გამოტოვეს მეორე მოქმედება და ითამაშეს პირველი და მესამე,რამაც პიესაც ტრაფარეტული ხასიათი მისცა და მთლიანი შთაბეჭდილება დაუკარგა. ეგრე ასეთი პიესის დადგმა, როგორც „მსხვერპლი“ არის, შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც სეზონის განმავლობაში რამდენჯერმე ნათამაშევი, ან და ბენეფისია ვისმესი, როდესაც ავტორს სურვილი აქვს დაენახოს საზოგადოებას თავის საუკეთესო ნათამაშევ როლებში. ვასო აბაშიძის თამაშმა „რაც არ მერგება, არ შემერგება“—ბევრი აცინა საზოგადოება, დისონანსი შეჰქონდა სცენის მოყვარეს მგელაძეს, რომელსაც თავი არ შეუწუხებია, რომ როლი შეესწავლა. აგრეთვე დიდის წარმატებით ჩაიარა მეორე გასტროლმა „სიძე-სიმამრში“ და „არც აქეთ—არც იქით“-ში. საზოგადოება ორივე გასტროლით ძლიერ კმაყოფილი დარჩა. ამ წარმოდგენებს ესწრებოდნენ „ინტელიგენტებიც“.—საზოგადოდ დიდი მადლობის ღირსია წრე, როგორც სისტემატიურად წარმოდგენების მართვისათვის, ისე გასტროლიორის მოწვევისათვის.

—

ამასთანავე არ შემიძლია აქვე არ აღვნიშნო დრამატიულ საზოგადოების გამგეობის ის უგულობა და დანაშაული, რომელსაც იგი იჩენს ნაკისრევ და მონდობილი საქმისადმი. ორი წელიწადია, გულზედ ხელ დაკრეფილი შორიდან რომ შეჰყურებს წრის მოღვაწეობას და არც თითონ აკეთებს რასმე, არც სხვას აძლევს საშუალებას რამე გააკეთოს. მათ უფლებას ვადა ჯერ კიდევ 1915 წლის მაისში გაუთავდა; ამ დღიდან მოკიდებული—ისინი საზოგადოების დაუკითხავად კვლავ „საქმეს“ „განაგებენ“ და ფიქრადაც არ მოსდით საზოგადო კრება მოიწვიონ. რას მივაწეროთ საზოგადოების აბუჩად აგდება? ეს კიდევ არაფერი; მთელი თვეა, შეკრება სურთ რომ ავადმყოფ მსახიობ ვ. გუნიასთვის ნივთიერი დახმარების საქმე მოეგვარებინათ და ვერ შეკრებილან. დროა ხსენებულმა გამგეობამ ან თვით გამოიჩინოს მოქმედების უნარი, ან ადგილი სხვებს დაუთმოს; ვინ იცის, შეიძლება სხვების ხელში უფრო ბედნიერი შეიქნეს დრამატიული საზოგადოების მოქმედება.

მეთვალყურე.

შემოწირულება

საქველმოქმედო საზოგ. ბათომის განყოფილებას ქართველ მაჰმადიანთა სკოლების სასარგებლოდ ნიკოლოზ ანტონის ძე საბაევმა ომში მოკლული შვილის ხსოვნის აღსანიშნავათ 100 მანეთი შემოსწირა. საქველმოქმედო საზოგ. ბათ. განყოფილების გამგეობა დიდს მადლობას უცხადებს **ნიკ. ანტ. საბაევს** ამ შემოწირულებისათვის.

გამგეობა.

—

რედაქციამ მიიღო შემოწირულება იოსებ ფანცულაიასაგან **ხუთი მანეთი** ვ. გუნიას სასარგებლოდ.

რედაქტორ-გამომცემელი
ხანდრო ჭანჭიაშვილი

ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

თბილისიდან გადის:				
ბათუმისკენ	საფ.	№ 3,	11.03	დილ.
„	სამგზ.	№ 9,	10.33	საღ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	11.13	დილ.
„	სამგზ.	№ 8,	3.54	დღ.
„	საფ.	№ 4,	9.28	საღ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-3,	11.13	საღ.
თელავისაკენ		№ 4,	8 „ 58	„ დილ.
თფილისში მოდის:				
ბათუმიდან	სამგზ.	№ 10,	9.52	დილ.
„	საფ.	№ 4,	8.38	საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.43	დილ.
„	სამგზ.	№ 18,	10.12	საღ.
ბაქოდან	საფ.	№ 3,	10.08	დილ.
„	სამგზ.	№ 7,	4.12	საღ.
„	ჩქარ.	№ 5,	8.48	საღ.
თელავიდან		№ 3, .	6 „ 24	„ საღ.

სუსუნატი

ვისაც სურს ერთხელ და სამუდამოდ განიკურნოს ამ ავადმყოფობისაგან მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ მისი თავიდან მოშორება შეიძლება **ხუსუნატის** წამლით პირველ-ხარისხოვანი **„გონოზანით“**. ეს წამალი სულ რამდენიმე დღეში ჰკურნავს დაძველებულ სუსუნატს. საშვალება **ნაცადია ტფილისის, რუსეთისა და საზღვარგარეთელ ექიმებისა და პროფესორების მიერ** და აღიარებულია საუკეთესო წამლად სუსუნატის მოსარჩენად.

ჩვენი გარანტია.

თუ თქვენთვის ეს საძნელო არ იქნება, გთხოვთ შეეკითხოთ რომელსაც გსურთ ექიმს ჩვენს აბებზე და ის აუცილებლად აგიხსნით, რომ ეს აბები საუკეთესო და რადიკალური საშვალებაა. საშვალება ერთნაირად ნაცადია მამაკაცებზეც და ქალებზეც. მაშ, ნუ ხარჯავთ დიდ ფულს უშედეგო წამლობაზე, რადგანაც 3 კოლოფი და სამი შუშხაპუნებით რომელიც წამალთან არის ერთად, სავსებით ჰკურნავს ავადმყოფს ამ მძიმე სენისაგან.

ერთი კოლოფი აბებისა ღირს 4 მან. და 3 შუშა შუშხაპუნებული ღირს ცხრა მან. სხვა ქალაქებში გაიგზავნება 3 მანეთის მიღების შემდგომ.

მიწერ-მოწერა და წამლის დაკვეთა შეიძლება მხოლოდ **რ. შმიდტ** თბილისი, თხინვალის ქუჩა № 12 ოტდ. 3. მახლობლივ გოლოვინის პროსპექტისა და მეჟავის ქუჩის.

Р. Шмидтъ, Тифлисъ, Тхинвальская ул. № 12 отд. 3.

პირადად ნახვა შეიძლება 2—5 საათამდე. წამალი იყიდება მთელი დღე. —300—

თუ გსურთ, მიმართეთ
ცნობის კონტორას
ი. თ. გვათუასას

რემინგტონზე რისამე დაბეჭდვა,
რემინგტ. სწავლა ამერიკ. წესით,
საქმის ქაღალდის დაწერა,
თხოვნების შედგენა,
საქმის და თხოვნის წარმოება,
ცნობების შეკრება,
მოსამსახურის შოვნა,
საკომისიო მინდობილობა,
ბინის გაქირავება,
ბინის შოვნა,
მამულის ხყიდვა,
მამულის გასყიდვა,
მამულის დაგირავება,
მამულის იჯარით გაცემა და სხვ.

თბილისი, ვერის დაღმართი,
სახლი მელიქ აზარიანისა № 1

შუამავლობას ეს კონტორა
გასწევს როგორც ქალაქელთა
ისე ქალაქ გარეშელთათვის.

ყველა საქმეს კონტორა სწრაფლ და პირნათლად ასრულებს.

ხელმისაწვდენ ფასებში

მისამართი პროვინციელთათვის: Тифлисъ, Верiйск. спускъ И. Т. Гватуа, Справочная контора.

საგალანტერიო მაღაზია
ერ. ივ. ჭავჭანიძისა და
ი. ი. გველესიანისა

იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.

იშოვება უთვალავი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:

ჩულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი

(101—წ.)

გამოვიდა და იყიდება
კ. ოცხელის და ამხ. წიგნის მაღაზიაში
(ქუთაისში)

რუსული ენის პირველ დაწყებითი სახელმძღვანელო „Новое Слово“ ნაწ. I, მეორე გამოცემა. უხვად დასურათებული, შედგენილი **ს. ოცხელის მიერ. ფ. ყდით 2 აბაზი.**

ამ წიგნის პირველ გამოცემას თითქმის ყველა ქართული პერიოდული გამოცემა (გარდა ჟურნ. „განათლებისა“) თანაგრძნობით შეხვდა.

პრაქტიკის მქონი მასწავლებლები გამოცდილების შემდეგ იმ დასკვნამდე მივიდენ, რომ „Новое Сслово“-თ სწავლებით მოწაფეები არაჩვეულებრივი ხალისით და წარმატებით ითვისებენ რუსულ ენას.

სასწავლო ოლქმა თანახმად მზრუნველის რჩევის დადგენილებისა ავტორს აცნობა ოლქის რეცენზენტის აზრი, სადაც სხვათა შორის ნათქვამია: Способъ разучиванiя матерiала, предложенный составителемъ „Новаго слова“ имѣетъ несомнѣнныя достоинства, и умѣлое пользованiе имъ значительно оживитъ преподаванiе, а равно и усвоенiе дѣтьми русскаго языка... „Новое слово“ можетъ быть признано вполнѣ подходьщимъ руководствомъ для грузинскихъ народнихъ школъ“.

(თ.—225—24)

ხილეული, მადნეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმრთელობის ინტერესი მოითხოვს: **მოითხოვონ და სვან ყოველთვის მხოლოდ მიტროფანე ლაღიძის** და ამხ-ს ქარხნის საუკეთესო ხილეულ მადნეულის **ნამდვილი სამკურნალო** წყალი და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გახშირებულია და ხშირად შეცდომაში შეყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების **ყალბი** ეტიკეტების მიმსგავსებით **ნამდვილი ლაღიძის წყლის** ეტიკეტის ნიშანი შემდეგია

ქუთაისში
მ. ლაღიძე და ამხ.
საუკეთესო ხილეული წყალი
1900
თბილისში

ქართულად თავმორთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო სამრეწველო მინისტრის მიერ პეტროგრადში ⁊ თვით პრობკებსაც აწერია

„ლაღიძის წყალი“

მხოლოდ და მარტო ლაღიძის წყალია მომზადებული სრულიად **უვნებელის მაღალი ღირსების მასალებისაგან, ნამდვილი და საუკეთესო ხილის წვნით** და მასთანვე

სუნი და გემოც საამური აქვს

წლ.

ქ. თბილისში, ოლღას ქ. № 6, ჟურნალ-გაზეთების კანტორა ⁊ წიგ. მაღაზია

„განათლება“-ში

იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები, მწერ. სურათები, ომის კარტები რომლებიც გაეგზავნება მსურველთ მოთხოვნილებისთანავე.

პროვინციელ აგენტებს გაეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები: „თანამედროვე აზრი“, „საქართველო“, „ეშმაკის მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“,“, „სახალხო ფურცელი“, „ზვირთი“, ჟურნ. „განათლება“ კავკაზსკოე სლოვო „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.

ტელეგრამის ადრესი: Ольгинская 6. Таварткиладзе.

თევზის მრეწველნი
ძმ. ძეძველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მიიღება საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-ძმით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „ამურზნავი“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფორეჯი და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ იბანება.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან

სტამბა „ცხოვრება“ კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 4.